პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

სამშაბათი, 26 დეკემბერი, 1950 წ. № 289 (8849). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ახალი აღმავლობისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
პატაკები ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი ქვანახშირის მრეწველობისა და ნავთის მრეწველობის სამინისტროების მიერ ქვანახშირისა და ნავთის ამოღების გეგმების შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).
მივცეთ საბჭოთა სამშობლოს მეტი ყურძენი და მაღალხარისხოვანი ღვინო (მე-2 გვერდი).
ს. ლარცულიანი — ბოლშევიკების პირველი კონფერენცია (მე-2 გვერდი).
სტატიების კრებული „ლენინური ისკრა" (მე-3 გვერდი).
ლ. ბარამია — დეკაბრისტები (მე-3 გვერდი).
ამერიკის პრესა ამერიკის შეერთებული შტატების მინისტრთა — შესახებ — გადააქციონ ზავერთიანებული ერების ორგანიზაცია სახელმწიფო დეპარტამენტის დანამატად (მე-3 გვერდი).
იტალიის დეპუტატთა პალატაში (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება (მე-4 გვერდი).

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ახალი აღმავლობისათვის

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ახლახან ჩატარებულმა არჩევნებმა ერთხელ კიდევ მკაფიოდ გვიჩვენა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. არჩევნებში, რაც გადაიქცა ბოლშევიკების პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი ხალხის ერთგულებისა და სიყვარულის მძლავრ დემონსტრაციად, მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ამომრჩეველმა. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა.

მთელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა მშრომელი მასების უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ვითარებაში. ეს აქტივობა კიდევ უფრო ამაღლდა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით.

საარჩევნო კამპანია ჩვენში ყოველთვის ხასიათდება როგორც მშრომელთა პოლიტიკური და სამეურნეო აქტივობის ზრდით, ისე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აღმავლობით. ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ათასობით აგიტატორი მუშაობდა. ისინი მშრომელებს განუმარტავდნენ არჩევნების დებულებას, სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებს, ესაუბრებოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მოპოვებულ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებზე, რაზმავდნენ მათ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ახლა, როცა უკვე გაიშალა მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, დაიწყო არჩევნების დებულების პოპულარიზაცია, ამოცანა ის არის, რომ უნარიანად გამოვიყენოთ სააგიტაციო-მასობრივ მუშაობაში შეძენილი მდიდარი გამოცდილება, შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ აგიტატორთა და პროპაგანდისტთა კადრები, კიდევ უფრო გავაძლიეროთ, ახალ მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ პოლიტიკური მუშაობა მასებში. პირველი რიგის ამოცანაა ღრმად შევასწავლოთ თვითეულ მშრომელს არჩევნების დებულება, საქართველოს სსრ კონსტიტუცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა კარგად დაიწყეს ქ. თბილისის ლენინის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა. რაიკომის პარტკაბინეტში, საწარმო-დაწესებულებათა ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა. ყველა 37 აგიტპუნქტი, რომელიც ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში მუშაობდა, შეუდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების პოპულარიზაციას. განსაკუთრებით უნარიანად დაიწყო მუშაობა ვაკეთა მე-15 საშუალო სკოლაში მოთავსებულმა აგიტპუნქტმა. ამ აგიტპუნქტის აგიტატორებმა, რომლებსაც სააგიტაციო მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვთ, უკვე მოაწყეს პირველი საუბრები საარჩევნო დებულების საკითხებზე. დებულების შესწავლა კარგად დაიწყეს ქ. ფოთის პარტიულმა ორგანიზაციებმა. პარტიის საქალაქო კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაშლის საკითხზე მოიწვია აგიტპუნქტების ხელმძღვანელთა თათბირი. გაიმართა აგიტატორთა სემინარი. აგიტატორებს განემარტათ, როგორ უნდა მოაწყონ დებულების შესწავლა. ქალაქში ათასზე მეტი აგიტატორი მუშაობს. არჩევნების დებულების შესწავლა დაიწყო სხვა რაიონებშიც.

ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. საჭიროა უკლებლივ ყველა მშრომელს კარგად შევასწავლოთ საარჩევნო დებულება. პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ კიდევ უფრო გააძლიერონ და გააფართოონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა მშრომელთა შორის.

აგიტატორთა და პროპაგანდისტთა ის კადრები, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში გამოიზარდნენ და დაწინაურდნენ, სრულად უნდა გამოვიყენოთ. ამასთან საჭიროა გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა და დახმარება მათდამი, უზრუნველვყოთ ისინი საარჩევნო ლიტერატურით, აგიტაციისათვის საჭირო სხვა მასალებით. საჭიროა სისტემატურად მოვაწყოთ აგიტატორებისათვის სემინარები, ლექციები და მოხსენებანი, განვუმარტოთ მათ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელთა შესახებ მათ უნდა მოუთხრონ თავიანთ მსმენელებს.

სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის დონეზე, აგიტატორთა უნარზე, იმაზე, თუ როგორ მოაწყობენ ისინი არჩევნების დებულების პოპულარიზაციას, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკითხების განმარტებას, დიდად არის დამოკიდებული მშრომელთა სამეურნეო და პოლიტიკური აქტივობის შემდგომი აღმავლობა.

აგიტაცია მიმზიდველი, შინაარსიანი, პოლიტიკურად მახვილი უნდა იყოს. ეს კი თვითეული აგიტატორისაგან მოითხოვს სისტემატურ მუშაობას თავის თავზე, ცხოვრების კარგად ცოდნას, სასაუბრო თემების სწორად შერჩევას. შეუძლებელია აგიტატორი დაკმაყოფილდეს ზოგად დებულებათა გადმოცემით, საერთო ფრაზებით. მისი საუბარი ყოველთვის უნდა იყოს კონკრეტული, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული. ამასთან აუცილებელია აგიტატორი კარგად იცნობდეს თვითეულ მსმენელს, მის ინტერესსა და უნარს, რაც გაუადვილებს მას სასაუბრო თემების შერჩევას, საუბრის საინტერესოდ წარმართვას.

არჩევნების დებულების ახსნა-განმარტება მტკიცედ უნდა დავუკავშიროთ ჩვენი რესპუბლიკის, თვითეული რაიონის, ქალაქისა თუ სოფლის, საწარმოსა თუ კოლმეურნეობის წინაშე მდგომი კონკრეტული პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაჭრისათვის მშრომელთა მობილიზაციის საქმეს, მივაღწიოთ ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრას, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ახალ მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ პოლიტიკური მუშაობა მასებში, დავრაზმოთ მშრომელები სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საბრძოლველად, ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად — ასეთია პარტიული ორგანიზაციების ამოცანა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ 1950 წლის 11 დეკემბერს ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მეშახტეებმა გადაჭარბებით შეასრულეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონით 1950 წლისათვის დაწესებული გეგმა ქვანახშირის ამოღებისა.

სამინისტროს შახტებში წლის ბოლომდე დამატებით ამოღებული იქნება 14 მილიონამდე ტონა ქვანახშირი.

გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული შახტების აღდგენისა და ახალი მშენებლობის შედეგად დონბასში ქვანახშირის ამოღებამ მიმდინარე წლის ნოემბერში 10 პროცენტით გადააჭარბა ომამდელს.

ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულება მიღწეულია შრომატევადი პროცესების მექანიზაციის გაფართოების, ქვანახშირის კომბაინებისა და სატვირთავი მანქანების დანერგვის, აგრეთვე ქვანახშირის შახტებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით.

ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი ა. ზასიადკო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ნავთის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 10 დეკემბერს შეასრულეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დაწესებული დავალება ნავთის ამოღებისა.

მიმდინარე წლის ბოლომდე დამატებით ამოღებულ იქნება 2 მილიონი 200 ათასი ტონა ნავთი.

ნავთის მრეწველობის მინისტრი ნ. ბაიბაკოვი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

22 დეკემბერს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო მოღვაწეობის საკოორდინაციო საბჭოს სესიამ. სესია მიძღვნილი იყო 1951 წლის სამეცნიერო სამუშაოთა გეგმების განხილვისადმი.

მოხსენებები გააკეთეს უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელებმა. მოხსენებებმა ცხადყვეს მეცნიერების უდიდესი ზრდა ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებში და დასახეს შემდგომი გამოკვლევების უფრო მნიშვნელოვანი პერსპექტივები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების მონაწილეობას კომუნიზმის დიად მშენებლობათა — ჰიდროელექტროსადგურების, არხების და ახალი სარწყავი სისტემების შექმნაში.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება — ერთიან გეგმას დაექვემდებაროს ყველა კვლევითი მუშაობა, რასაც ამ მიმართულებით ეწევიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიები. მეცნიერებმა — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გამოთქვეს მხურვალე მისწრაფება — გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი და ხელი შეუწყონ კომუნიზმის დიად მშენებლობათა შექმნის საყოველთაო-სახალხო საქმეს.

სესიამ განიხილა აგრეთვე მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები. (საკდესი).

საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის მე-3 ტომი (მეორე გამოცემა)

გამოვიდა და ხელმომწერლებს ეგზავნება საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის მე-3 ტომი (მეორე გამოცემა). იგი შეიცავს სიტყვებს „არიზონიდან" „აიაჩომდე".

საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის მე-3 ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენი სამშობლოსადმი მიძღვნილ სტატიებს.

საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის მე-3 ტომში მოთავსებულია სულ 60-მდე დიდი სტატია. ტექსტში მოცემულია 540 ილუსტრაცია და სქემა. გარდა ამისა, წიგნი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს მრავალფეროვან რუკებსა და ილუსტრაციებს ცალკე ფურცლებზე. (საკდესი).

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

(ცნობები არჩევნების შედეგების შესახებ ქვეყნდება უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან მიღებული მასალების მიხედვით).

1950 წლის 17 დეკემბერს მოხდა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

არჩეული არიან მშრომელთა დეპუტატების 25 საოლქო საბჭოს, ადმინისტრაციული ოლქების, 13 საოკრუგო საბჭოს, 749 რაიონული საბჭოს, 261 საქალაქო საბჭოს, ქალაქთა 68 რაიონული საბჭოს, 16.358 სასოფლო საბჭოს და 477 სადაბო საბჭოს დეპუტატები.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო:

	ამომრჩეველთა საერთო რიცხვი	კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი: აბსოლუტური ციფრებით	კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი: პროცენტობით
საოლქო საბჭოებისა	22.922.038	22.918.241	99,98
საოკრუგო საბჭოებისა	437.386	437.345	99,99
რაიონული საბჭოებისა	16.487.478	16.485.480	99,99
საქალაქო საბჭოებისა	7.524.394	7.522.588	99,98
ქალაქთა რაიონული საბჭოებისა	3.522.774	3.521.945	99,98
სასოფლო და სადაბო საბჭოებისა	15.643.702	15.641.596	99,99

ამრიგად, თითქმის ყველა ამომრჩეველმა, მცირედი გამონაკლისით, მონაწილეობა მიიღო არჩევნებში.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიმცემ ამომრჩეველთა რიცხვი შეადგენს:

	კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რიცხვი	პროცენტი კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვის მიმართ
საოლქო საბჭოებისა	22.879.630	99,83
საოკრუგო საბჭოებისა	437.310	99,99
რაიონული საბჭოებისა	16.443.052	99,74
საქალაქო საბჭოებისა	7.495.767	99,64
ქალაქთა რაიონული საბჭოებისა	3.511.828	99,71
სასოფლო და სადაბო საბჭოებისა	15.587.249	99,65

იმ ბიულეტენების რიცხვი, რომლებშიც წაშლილია კანდიდატთა გვარები, ე. ი. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი შეადგენს: საოლქო საბჭოების არჩევნებში—38.218 ანუ 0,16 პროცენტს, საოკრუგო საბჭოებისა—35 ანუ 0,01 პროცენტს, რაიონული საბჭოებისა—42.285 ანუ 0,26 პროცენტს, საქალაქო საბჭოებისა—26.699 ანუ 0,35 პროცენტს, ქალაქთა რაიონული საბჭოებისა—10.044 ანუ 0,28 პროცენტს, სასოფლო და სადაბო საბჭოებისა—54.067 ანუ 0,34 პროცენტს. არჩევნების დებულების 99 მუხლის საფუძველზე გაუქმებულად მიჩნეული ბიულეტენები აღმოჩნდა 1.011.

ამრიგად, კენჭისყრის შედეგები ცხადყოფენ, რომ ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ყველა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად არჩეულია სულ 322.608 კაცი. დეპუტატთა შორის არიან 106.586 ქალი ანუ 33,0 პროცენტი, 109.677 საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი და წევრობის კანდიდატი ანუ 34,0 პროცენტი, 212.931 უპარტიო ანუ 66,0 პროცენტი. ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

სასოფლო საბჭოების არჩევნების 5 საარჩევნო ოლქში კანდიდატებმა, რომლებმაც კენჭი იყარეს, ვერ მიიღეს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეული არ იქნენ დეპუტატებად.

რაიონული საბჭოების არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქსა და სასოფლო საბჭოების არჩევნების ორ საარჩევნო ოლქში არჩევნები გაუქმებულია არჩევნების დებულების დარღვევის გამო. არჩევნები არ მომხდარა სასოფლო საბჭოების ორ საარჩევნო ოლქში.

ყველა ამ ოლქში „უკრაინის სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების" შესაბამისად, მოხდება ახალი არჩევნები.

საქართველოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობამ შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოს სს რესპუბლიკის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრმა ამხ. გ. ჯაბუამ აცნობა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ 23 დეკემბერს შეასრულა წლიური გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში.

პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა სამინისტროს 9 საწარმომ. მათ შორის არიან თბილისის ავეჯეულობის ფაბრიკა, ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, მარელისის გრეხილავეჯის ფაბრიკა, ბორჯომის ავეჯის ფაბრიკა, ენგურის, ფოთის, ხეთის, ზუგდიდისა და სტალინირის სატყეო მეურნეობები.

სამინისტროს საწარმოთა კოლექტივები დიდი შრომითი აღმავლობით აღნიშნავენ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ჩვენს ქვეყანას მისცემენ რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქციას. (საქდესი).

რიონჰესმა შეასრულა წლიური გეგმა

ქუთაისი. (ჩვენი კორ.). სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივმა, რომელიც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში იყო ჩაბმული, მორიგი გამარჯვება მოიპოვა. სადგურმა 18 დეკემბრისათვის შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა.

სადგურის კოლექტივმა იკისრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად წლის ბოლომდე წლიური გეგმა 110 პროცენტით შეასრულოს.

კანდიდატთა დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატთა წამოყენების საკითხი.

ხაზლიანდაგის სამსახურის უფროსმა ამხ. ვ. ჯავახიშვილმა წინადადება შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის რაიონის დიდუბის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნას სამმართველოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ბერუჩაშვილი.

ხარატმა ვ. ცხვარაშვილმა, სამჭედლო საამქროს უფროსმა ვ. ბოჩკოვმა და ამწყობი საამქროს უფროსმა ი. ჯოხაძემ ამხ. ბერუჩაშვილი დაახასიათეს როგორც მტკიცე ბოლშევიკი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი.

შემდეგ სიტყვა აიღო ტროლეიბუსის მოძრაობის უფროსმა ლ. ლაზიევმა. მან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის რაიონის ტელმანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა ტროლეიბუსის სახელოსნოების სტახანოველი ზეინკალი ამხ. ლიდა ვასილის ასული მამულაშვილი.

მამულაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს ტროლეიბუსის სამსახურის საგეგმო განყოფილების უფროსმა თ. კუპრაძემ, ზეინკალმა მ. კოჩინევმა და ავტოგარაჟის უფროსმა მ. მანდენაშვილმა. მათ ამხ. მამულაშვილი დაახასიათეს როგორც მოწინავე ადამიანი, რომელიც გეგმას 300-350 პროცენტით ასრულებს; იგი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის რაიონის დიდუბის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ამხ. ვ. ა. ბერუჩაშვილისა და ტელმანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ამხ. ლ. ვ. მამულაშვილის კანდიდატებად წამოყენების შესახებ.

თბილისის ზეთსახდელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ განიხილა საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატთა დასახელების შესახებ.

კრებაზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. დ. კრასნიკოვმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 26 კომისრის რაიონის ნასაკირალის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დაასახელა ამავე ქარხნის სტახანოველი მუშა ლუბა ალექსანდრეს ასული ხოლოდოვა.

ლაბორატორიის გამგემ ამხ. ქ. ასანიშვილმა და ზეინკალმა რ. მარტიროსოვმა მხარი დაუჭირეს ამხ. ხოლოდოვას კანდიდატურას. მათ რწმენა გამოთქვეს, რომ ამხ. ხოლოდოვა ისევე პირნათლად შეასრულებს ქარხნის კოლექტივის ნდობას, როგორც იგი იბრძვის საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სიტყვას იღებს სტახანოველი ზეინკალი ამხ. გ. პოპოვი, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 26 კომისრის რაიონის ა. ჯაფარიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად ასახელებს ამავე ქარხნის დირექტორს ამხ. სევერიანე ვლადიმერის-ძე ფალავანდიშვილს.

ამხ. გ. პოპოვის წინადადებას მხარი დაუჭირეს ხარატმა ს. ხაჩატუროვმა და ნედლეულის განყოფილების გამგემ ამხ. ა. სანაძემ.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 26 კომისრის რაიონის ნასაკირალისა და ჯაფარიძის საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატებად დასახელებულ იქნან ლუბა ალექსანდრეს ასული ხოლოდოვა და სევერიანე ვლადიმერის-ძე ფალავანდიშვილი.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. ქუთაისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დაასახელა საპრეტურო საამქროს სტახანოველი მუშა მარიამ ქიქავა.

საოლქო საარჩევნო კომისიების კანდიდატებად დასახელებული არიან აგრეთვე ამავე ფაბრიკის წარჩინებული მქსოველი ელენე უქენკოვა, ორდენოსანი მასწავლებელი მარიამ კვიცარიძე, ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მთავარი ინჟინერი დავით გურგენიძე, რიონჰესის საბავშვო ბაღის პედაგოგი მარგო ბაბუნაშვილი და სხვ.

გორის რაიონის სოფელ ზერტის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეჯვრისხევის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დაასახელა კოლმეურნე, გმირი დედა ქეთევან ზუბიაშვილი.

ამავე რაიონის ქიწნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ კარალეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დაასახელა მეურნეობის მოწინავე აგრონომი მანია ჩიხლაძე; სოფელ კარალეთის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ კარალეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დაასახელა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ვაზაგაშვილი.

საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში გორის რაიონის მშრომელთა მიერ კანდიდატებად დასახელებული არიან სოფელ დიდი ატენის კოლმეურნეობის სტახანოველი მარიამ აღდგომელაშვილი, სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ილია ეცადაშვილი, სოფელ შავშების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნადია ბუჯიაშვილი, პარტიის გორის რაიკომის მეორე მდივანი მიხეილ მაისურაძე, პარტიის გორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ალექსანდრე ნოზაძე, მშრომელთა დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გაბრიელ კეხუაშვილი და სხვები.

ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ

ამ დღეებში შედგა სამტრესტის საბჭოთა მეურნეობების მოწინავე მევენახეთა რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც დაესწრნენ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, უფროსი აგრონომები, სპეციალისტები, სოციალისტური შრომის გმირები.

1950 წელს გაწეული მუშაობის შედეგებზე, ყურძნის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებზე მოხსენება გააკეთა სამტრესტის მთავარმა აგრონომმა ამხ. პ. მახარაშვილმა.

საქართველოს აქვს მევენახეობა-მეღვინეობის მძლავრი საბჭოთა მეურნეობები. ისინი რენტაბელურად მუშაობენ და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. ფართოდ არის ცნობილი წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მიღწევები, რითაც მან დაიმსახურა საპატიო ჯილდო — ლენინის ორდენი. ყურძნის მოსავლიანობისა და ღვინის გამოშვების გადიდების საქმეში განსაკუთრებით თავი ისახელეს მუკუზნის, ყულარის, კარდანახისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებმა. მათ უნარიანად გამოიყენეს მოწინავე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევები, უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილება: მუკუზნის საბჭოთა მეურნეობამ წელს ურწყავი ვენახების 136 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოიყვანა 52 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 36 ცენტნერისა. ბომბორის საბჭოთა მეურნეობამ 24 ჰექტარი ვენახის თითოეულ ჰექტარზე მიიღო 103,5 ცენტნერი ყურძენი, გეგმა კი 90 ცენტნერს ითვალისწინებდა. ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 143 ჰექტარი ვენახის თითოეულ ჰექტარზე 69 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწიეს მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის უბნის აგრონომმა გ. დათუნაშვილმა, კარდანახის საბჭოთა მეურნეობის უბნის აგრონომმა თ. ნანობაშვილმა, წინანდლის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა ი. გაგნიძემ და მრავალმა სხვამ.

მიღწევებთან ერთად საბჭოთა მეურნეობებში არის სერიოზული ნაკლოვანებანიც. ზოგან ზუსტად არ ასრულებენ აგროტექნიკურ ღონისძიებებს, სუსტად იბრძვიან სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დასანერგავად. 1950 წლის ყურძნის მოსავლიანობის დაწესებული გეგმა ზოგიერთმა საბჭოთა მეურნეობამ ვერ შეასრულა. მართალია, კლიმატურმა პირობებმა (მოყინვა, დასეტყვა) უარყოფითი გავლენა იქონია ცალკეულ მეურნეობაში მოსავლიანობის გეგმის შესრულებაზე, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ყველა შესაძლებლობა არ იყო გამოყენებული ყურძნის უხვი მოსავლის მოსაყვანად. ეს ჩვენ მომავალში მტკიცედ უნდა გავითვალისწინოთ და ყველაფერი გავაკეთოთ მოსავლიანობის გასადიდებლად.

სამტრესტის საბჭოთა მეურნეობების წინაშე ამჟამად დასახულია ახალი, სერიოზული ამოცანები. დიდი სტალინის ინიციატივით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1950 წლის 5 ოქტომბერს მიიღო დადგენილება, რომელშიც მოცემულია საქართველოს მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების კონკრეტული პროგრამა. ამ საკითხს სერიოზული ყურადღება დაუთმო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ოქტომბრის პლენუმმა, რომელმაც დასახა ღონისძიებანი მევენახეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. პლენუმზე საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა: „...ყურძნის დამზადება და საღვინე მასალის გამოშვება 5 წლის განმავლობაში თითქმის ერთიორად იზრდება. ეს გვავალებს უფრო უკეთ დავაყენოთ ვენახების მოვლის საქმე და რესპუბლიკაში ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ავიყვანოთ 55-60 ცენტნერამდე ჰექტარზე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყველა ვენახი უნდა გადავიყვანოთ შპალერზე, რაც, როგორც ცნობილია, მოსავალს 25-30 პროცენტით ზრდის“.

მევენახეთა თათბირის მონაწილეებმა ამ სერიოზული ამოცანის შესრულების საკითხზე გაამახვილეს ყურადღება და ილაპარაკეს იმაზე, თუ რა გზით შეიძლება ეს გაკეთდეს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ხუციშვილმა (დიღმის საბჭოთა მეურნეობა), ქანთარიამ (ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), ბურჯანაძემ (ვარციხის საბჭოთა მეურნეობა), გულიაშვილმა (ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობა), მოდებაძემ (ბოლნისის საბჭოთა მეურნეობა), სოციალისტური შრომის გმირმა ბერიაშვილმა (გურჯაანის ღვინის ქარხანა), ნაკაიძემ (მანავის საბჭოთა მეურნეობა), ახვლედიანმა (თელავის მევენახეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი), შარაშიძემ (ხირსის საბჭოთა მეურნეობა), ლომკაცმა (თელავის მევენახეობის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი), სოციალისტური შრომის გმირმა ბოლქვაძემ (წინანდლის საბჭოთა მეურნეობა), კობიაშვილმა (სამტრესტის მცენარეთა დაცვის აგრონომი), სანიკიძემ (თელავის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი), ორჯონიკიძემ (საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო), დევიძემ (სამტრესტი) თათბირის მუშაობა შეაჯამა სამტრესტის მმართველმა ამხ. პ. სოხაძემ.

სამტრესტის საბჭოთა მეურნეობების მოწინავე მევენახეთა რესპუბლიკურმა თათბირმა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სპეციალისტებისადმი მიიღო მიმართვა, რომელშიც ნათქვამია:

— ვითვალისწინებთ რა ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების დიდ მნიშვნელობას, წინადადება შემოგვაქვს ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა მეურნეობებსა, უბნებსა, ბრიგადებსა, რგოლებსა, ცალკეულ მუშებსა და სპეციალისტებს შორის 1951 წელს ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სამტრესტის საბჭოთა მეურნეობების მოწინავე მევენახეთა თათბირმა იკისრა მთელი რიგი ვალდებულებანი, მათ შორის: 1951 წელს გააშენონ 130 ჰექტარი ახალი ვენახი, დარგონ მხოლოდ ძვირფასი სამრეწველო ჯიშები, სახელდობრ: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, კაბერნე, ჩხავერი და სხვა; მეჩხერიანობის აღმოსაფხვრელად 1951 წელს გადააწვინონ და გამორგონ 300.000 ძირი ვაზი; 350 ჰექტარი ვენახის თითოეულ ჰექტარზე შეიტანონ 50 ტონა ორგანული სასუქი; გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში მოაწყონ ვაზის ნარგავების დამატებითი გამოკვება 300 ჰექტარზე; მოამზადონ და გადაამზადონ 600 მსხვლელი; ფართოდ დანერგონ მოწინავეთა გამოცდილება; ვენახების მთლიან ფართობზე შაბიამნის ხსნარი შეასხურონ 4-5-ჯერ და გოგირდი შეაფრქვიონ სულ ცოტა სამჯერ; ვენახების გაშენების 1951 წლის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად მოაწყონ ვაზის სანერგე მეურნეობა; მოამზადონ 200 მყნობელი; უზრუნველყონ ნამყენი ვაზის სულ მცირე 40 პროცენტი გამოსავლიანობა; სადედის თითოეულ ჰექტარზე მიიღონ 30.000 ცალი სტანდარტული (110 სანტიმეტრი სიგრძის) ლერწი; 1951 წელს მოიყვანონ: 200 ჰექტარი ვენახის თითოეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძენი, 400 ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერი, 500 ჰექტარზე საშუალოდ 50 ცენტნერი, ხოლო დანარჩენ ფართობზე, სულ მცირე, გეგმით გათვალისწინებული მოსავალი.

თათბირის მონაწილენი თავიანთ მიმართვაში წერენ:

— ძვირფასო ამხანაგებო! კარგად ვიცით, რომ ჩვენ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება დიდ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ დაუღალავი შრომით მიზანს მივაღწევთ. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით სანიმუშოდ მოვაწყოთ ვენახების საზამთრო სამუშაოები და ამით მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანას. მთავარი ჩვენი საზრუნავი ის არის, რომ ყურძნის უხვი მოსავალი მოვიყვანოთ არა ცალკეულ ნაკვეთებზე, არამედ მთელ ფართობებზე.

უეჭველია ჩვენი რესპუბლიკის მევენახეები ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის და სასახელოდ შეასრულებენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებას.

ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ

20 დეკემბრისათვის ტრაქტორების საზამთრო რემონტის გეგმა საქართველოს მტს-ებში შესრულებულია 38,8 პროცენტით.

რემონტი ვადამდე დამთავრებულია თელეთისა და ბოგდანოვკის მტს-ებში.

თიანეთის მტს-ში დავალება 84 პროცენტით არის შესრულებული, გეგეჭკორის — 82,4, კოლხიდის — 75, მარტყოფის — 70,3, დიღმის — 64,7, ლაგოდეხის — 60,9, ახალციხის—63,5, ვაჩიანის — 66,7, ახალსოფლის — 60,4, აბაშის — 65,6, გულრიფშის — 54,5, წყალტუბოს — 53,8, რუისის — 52,9, დუშეთის — 53,3, ახალქალაქის — 57,1, წალკის — 50, წნორის—57,1, გარდაბნის — 52,5, ქაჩაღნის — 47,8, აფენის — 44,8, ყვარლის — 45,2, წითელწყაროს — 49,3, ქსუისის—43,5, ზუგდიდის — 40, გუდაუთის მტს-ში—44,4 პროცენტით.

რემონტიდან ერთი ტრაქტორიც არ გამოუშვიათ ტამიშის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და კასპის მტს-ებს.

დანარჩენ მტს-ებში გეგმა 3,4-დან 30-მდე პროცენტით არის შესრულებული, აქედან შირაქის მტს-ში — 3,4 პროცენტით, ქარელის — 4,5, შულავერის — 7,4, საგარეჯოს — 9,8, შინდისის მტს-ში — 11,1 პროცენტით.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲙᲘᲣᲡᲢᲔᲜᲓᲘᲚᲨᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 22 დეკემბერი. (საკდესი). ქალაქ კიუსტენდილის სახალხო საბჭომ დააკმაყოფილა მრავალი მშრომელის სურვილი და ქალაქის ცენტრალურ მოედანს უწოდა ი. ბ. სტალინის სახელი.

ამასთან დაკავშირებით გუშინ კიუსტენდილში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მოედანზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის ბარელიეფი.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 21 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სოფიაში გაიმართა დედაქალაქის ცენტრალური რაიონისათვის სტალინის სახელის მიკუთვნებისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრებას ესწრებოდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და მთავრობის წევრები ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვილკო ჩერვენკოვის მეთაურობით, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი მ. ფ. ბოდროვი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ი. ბ. სტალინს.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ ᲞᲚᲝᲕᲓᲘᲕᲘᲡ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲙᲝᲚᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 21 დეკემბერი. (საკდესი). პლოვდივის ვასილ კოლაროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გაიმართა ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

ბუნების გარდაქმნისა და კომუნიზმის დიად მშენებლობებში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელი როლის შესახებ მოხსენება გააკეთა პროფესორმა პ. პოპოვმა. მოხსენება თემაზე „ი. ბ. სტალინის წვლილი ფილოსოფიის მეცნიერებაში“ გააკეთა დოცენტმა ბ. ჯურჯევმა.

სამეცნიერო სესიამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ბულგარეთის საზოგადოებრიობაში.

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲨᲘ

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ, 21 დეკემბერი. (საკდესი). გამომცემლობა „სიკრამ“ უნგრულ ენაზე გამოუშვა ამხანაგ ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის მეოთხე ტომი. წიგნი გამოცემულია 100 ათას ეგზემპლარად.

განუწყვეტლივ იზრდება უნგრეთის მშრომელთა ინტერესი ამხანაგ სტალინის შრომებისადმი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, რომელიც უნგრეთში უკვე გაყიდულია 560 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით. წიგნის „ლენინიზმის საკითხები“ ტირაჟმა 185 ათას ეგზემპლარს მიაღწია, წიგნისა „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ — 110 ათას ეგზემპლარს.

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებთა საერთო ტირაჟმა უნგრულ ენაზე 3.300.000 ეგზემპლარს გადააჭარბა.

Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ

ᲞᲠᲐᲦᲐ, 21 დეკემბერი. (საკდესი). ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ჩეხოსლოვაკიაში.

ამხანაგ სტალინის ნაშრომები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გამოიცა ჩეხოსლოვაკიაში 1950 წელს.

ჩეხურ ენაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის პირველი სამი ტომი 500.750 ცალი საერთო ტირაჟით. უახლოეს დროში გამოვა მეოთხე ტომი. 1950 წელს გამოშვებულ იქნა ამხანაგ სტალინის „ლენინიზმის საკითხების“ მეექვსე და მეშვიდე გამოცემები. ამ შესანიშნავი ნაწარმოების ყველა გამოცემის საერთო ტირაჟი ჩეხოსლოვაკიაში ამჟამად შეადგენს 325.750 ეგზემპლარს. მიმდინარე წელს ცალკე წიგნებად გამოშვებულია ამხანაგ სტალინის ნაშრომები: „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ და სხვ.

ჩეხოსლოვაკიაში ათჯერ გამოიცა ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომი „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. ამ წიგნის საერთო ტირაჟი შეადგენს 457.500 ეგზემპლარს.

მარტო გამომცემლობა „სვობოდამ“ ჩეხურ ენაზე გამოუშვა ამხანაგ სტალინის სხვადასხვა ნაწარმოებნი 2.138.750 ეგზემპლარის რაოდენობით.

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებები დიდი ტირაჟებით გამოდის აგრეთვე სლოვაკურ ენაზე.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

(ᲢᲐᲛᲔᲠᲤᲝᲠᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ 45 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ)

★

Ს. ᲚᲐᲠᲪᲣᲚᲘᲐᲜᲘ

★

1905 წლის 25-30 (12-17) დეკემბერს მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის პირველი კონფერენცია, რომელიც მუშაობის ადგილის მიხედვით ტამერფორსის კონფერენციის სახელწოდებით შევიდა ისტორიაში.

ტამერფორსის კონფერენციას მუშაობა მოუხდა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განვითარების მეტად მღელვარე დღეებში, როცა რევოლუციურმა აღმავლობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია და დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა. ეს გარემოება კიდევ უფრო ადიდებდა კონფერენციის მნიშვნელობას პარტიისა და მუშათა კლასისათვის.

რუსეთის რევოლუციის მთელმა მსვლელობამ ცხადყო, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მ. სი ძლევამოსილი გამარჯვებისათვის მუშათა კლასისა და პარტიის რიგებში მტკიცე ერთიანობას. მაგრამ მაშინ პარტიაში ასეთი ერთიანობა არ არსებობდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ფაქტიურად ორ ნაწილად — მენშევიკებად და ბოლშევიკებად იყო გაყოფილი და მათ შორის მწვავე შინაპარტიული ბრძოლა, წარმოებდა, რაც სერიოზულად აფერხებდა რევოლუციისადმი ერთიანი სტრატეგიული და ტაქტიკური ხელმძღვანელობის განხორციელებას, ძლევამოსილი გამარჯვებით მის დაგვირგვინებას.

პარტიაში ერთიანობის არარსებობით გამოწვეულ ზიანს თვით მუშები გრძნობდნენ და აყენებდნენ გაერთიანების მოთხოვნას, მაგრამ მუშების საგრძნობმა ნაწილმა ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ რა ღრმა საფუძველი ჰქონდა პარტიაში იდეურ-ორგანიზაციულ და ტაქტიკურ უთანხმოებებს და არ აძლევდა მათ არსებით მნიშვნელობას. საჭირო იყო მუშათა ამ ნაწილისათვის უთანხმოებათა პრინციპული ხასიათის მთელი სისრულით ჩვენება, მენშევიზმის ოპორტუნისტული ბუნების გამოაშკარავება. ეს ამოცანა უნდა შესრულებულიყო პარტიის ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლის პროცესში.

პარტიის III ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „მენშევიკებთან შეერთების პირობების მომზადების შესახებ“, რომელიც ავალებდა ცენტრალურ კომიტეტს მოემზადებინა პირობები ასეთი შეერთებისათვის და ისინი დასამტკიცებლად წარედგინა მორიგი პარტიული ყრილობისათვის.

ლენინი მიწერ-მოწერას აწარმოებდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებთან (ბოგდანოვი, კრასინი) პარტიის გაერთიანების საკითხებზე, გადაჭრით იბრძოდა მენშევიკებთან შემარიგებლობის, მათთან უპრინციპო გაერთიანების წინააღმდეგ და მიუთითებდა, რომ გაერთიანება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მენშევიკები პარტიის III ყრილობის რეზოლუციებს მიიღებენო. 1905 წლის ოქტომბერში ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი გაგზავნილ წერილში ლენინი წერდა: „ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ორი ნაწილის გაერთიანების პოლიტიკა და ორივე ნაწილის გათქვეფა. ორი ნაწილის გაერთიანებისა თანახმა ვართ. ორი ნაწილის გათქვეფისა — არასოდეს“.

ლენინი 1905 წლის ნოემბრის დამდეგს ემიგრაციიდან პეტერბურგში დაბრუნდა და გააჩაღა დიდი პარტიული, რევოლუციური მუშაობა. ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“ 10 ნოემბერს გამოქვეყნებულ პირველ სტატიაში „პარტიის რეორგანიზაციის შესახებ“ ლენინი, რუსეთში საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვასთან დაკავშირებით შეცვლილი პირობების გამო, მოითხოვდა პარტიული მუშაობის გაბედულად და გადაჭრით გარდაქმნას და პარტიის გაერთიანებისათვის ყრილობის მოწვევის დაჩქარებას. ლენინის წინადადებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა მოწოდებით „ყველა პარტიულ ორგანიზაციას და ყველა მუშა სოციალ-დემოკრატს“ 1905 წლის 23 (10) დეკემბერს IV ყრილობის მოწვევის შესახებ.

პარტიის IV ყრილობისათვის მზადება გაჩაღდა ადგილობრივ ორგანიზაციებში, რომლებიც იხილავდნენ პარტიის გაერთიანებისა და სხვა საკითხებს. ამიერკავკასიის ბოლშევიკები სტალინის ხელმძღვანელობით პარტიის გაერთიანების საკითხს ლენინურად წყვეტდნენ. რსდმპ კავკასიის კავშირის 1905 წლის ნოემბერში შემდგარი IV კონფერენციის გადაწყვეტილებებში გაერთიანების შესახებ ნათქვამი იყო: „ა) **შეერთების** ძირითად პირობას, როგორც ადგილებზე, ისე პარტიის „ზედაფენებში“, უნდა წარმოადგენდეს პარტიის III ყრილობაზე მიღებული წესდების პირველი პარაგრაფის აღიარება, ამ პარაგრაფიდან გამომდინარე ორგანიზაციული ცენტრალიზმით; ბ) არსებულ ტაქტიკურ უთანხმოებებს, რომელთა გადაჭრა შეუძლიათ გაერთიანებული პარტიის ყრილობებს, არ შეუძლიათ შეუშალონ და არც უნდა შეუშალონ ხელი შეერთებას ერთიან პარტიად; გ) პარტიის ორი ნახევრის შეერთების ნამდვილი უზრუნველყოფის ინტერესებისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ, სადაც კი ეს შესაძლებელია, შეერთებას ადგილებზე ზემოხსენებული ძირითადი პირობის ნიადაგზე, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, მოვახდინოთ **შეთანხმება** მენშევიკებთან პრაქტიკული ღონისძიებების ერთიანობის ნიადაგზე პროლეტარიატის აშკარა გამოსვლის დროს“.

პარტიის IV ყრილობის მოწვევა მაშინდელმა ვითარებამ შეუძლებელი გახადა ჯერ-ერთი იმის გამო, რომ რკინიგზებზე გაფიცვები იყო, მოსკოვში შეიარაღებული აჯანყება მიმდინარეობდა, ქვეყნის ყველა კუთხეში განვითარებული ამბები შეუძლებელს ხდიდა პარტიული ორგანიზაციების მიერ დელეგატების ნორმალურად გაგზავნას ყრილობაზე; მეორეც, იმის გამო, რომ მენშევიკებმა ნოემბერში თავისი კონფერენცია მოიწვიეს, და ცხადი იყო, რომ არ სურდათ ბოლშევიკებთან ერთად საერთო ყრილობაზე შეკრება. ამ გარემოებამ განზრახული ყრილობის მოწვევა ჩაშალა და მის ნაცვლად ჩატარდა ბოლშევიკების პირველი ტამერფორსის კონფერენცია.

ტამერფორსის კონფერენციას ესწრებოდა 41 დელეგატი. აქ იყვნენ: პეტერბურგის, ნიკოლაევის, ტაგანროგის, ტულის, კოსტრომის, ტვერის, უფის, სარატოვის, რიგის, ტამბოვის, ყაზანის, ნარვის, იაროსლავლის, ვიატკის, ვორონეჟის, სამარის ორგანიზაციების, კავკასიის კავშირის, ციმბირის კავშირის მიერ წარგზავნილი დელეგატები, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური ორგანოს წარმომადგენლები.

კონფერენციის დელეგატთა შორის იყვნენ ლენინი, სტალინი, კრუპსკაია, იაროსლავსკი და სხვები.

კონფერენციამ განიხილა უმნიშვნელოვანესი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან, მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიში, რსდმპ ორი ნაწილის გაერთიანების შესახებ, პარტიის რეორგანიზაციის შესახებ, აგრარული საკითხი, სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. ეს საკითხები მოიცავდა პარტიის ცხოვრებისა და ქვეყანაში რევოლუციის განვითარების მრავალ მხარეს და მათზე სწორი შეხედულებების გამომუშავება პარტიას უფრო გააძლიერებდა, გადააქცევდა მას მიმდინარე რევოლუციის წარმმართველ ძალად.

ტამერფორსის კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს პირადად ჩვენი პარტიის ბელადები ლენინი და სტალინი. მანამდე ისინი წერილებითა და ამხანაგების საშუალებით იცნობდნენ ერთმანეთს.

ლენინი კონფერენციაზე გამოვიდა ორი მოხსენებით: 1. მიმდინარე მომენტის შესახებ და 2. აგრარული საკითხი. ლენინის ამ მოხსენებებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს ამხანაგ სტალინზე, დელეგატებზე. 1924 წლის 28 იანვარს კრემლის კურსანტების საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგი სტალინი იგონებს ლენინთან პირველი შეხვედრის დროს მიღებულ შთაბეჭდილებას და ამბობს: „პირველად ლენინს 1905 წლის დეკემბერში შევხვდი ბოლშევიკების კონფერენციაზე ტამერფორსში (ფინეთში)... შესანიშნავი იყო ლენინის ორი სიტყვა, წარმოთქმული ამ კონფერენციაზე: მიმდინარე მომენტის და აგრარული საკითხის შესახებ. სამწუხაროდ, ეს სიტყვები არ შენახულა. ეს იყო შთაგონებული სიტყვები, რომლებმაც მთელი კონფერენცია უდიდეს აღტაცებაში მოიყვანეს. დარწმუნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის სიმარტივე და სიცხადე, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანჭვა-გრეხა, არავითარი თავბრუდამხვევი ჟესტები და ეფექტიანი ფრაზები, რომელთა მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა, — ყველაფერი ეს ხელსაყრელად განასხვავებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი „საპარლამენტო“ ორატორების სიტყვებისაგან“ (სტალინი, თხზ. ტ. 6, გვ. 64-65).

სტალინი გამოვიდა კონფერენციაზე მოხსენებით ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობის შესახებ და სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს საკითხზე. ბევრი დელეგატი პირველად გაეცნო სტალინს, რომელიც მაშინ პარტიაში უკვე ფართოდ იყო ცნობილი თავისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობით.

ლენინისა და სტალინის გამოსვლებმა კონფერენციაზე და მათმა მონაწილეობამ რეზოლუციების გამომუშავებაში განსაზღვრეს კონფერენციის მუშაობის შინაარსი და ძირითადი მიმართულება.

ტამერფორსის კონფერენციაზე ფართოდ იქნა განხილული საკითხი პარტიის ორი ნაწილის—ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანების შესახებ. კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „ცენტრების შეერთების შესახებ“ ნათქვამია: 1) რომ პრაქტიკული გაერთიანების მიზნით, როგორც დროებითი ღონისძიება, გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევამდე, დაუყოვნებლივ და ერთდროულად მოხდეს შეერთება პრაქტიკული და ლიტერატურული ცენტრალური ორგანოებისა თანასწორობის საწყისებზე; 2) რომ დაუყოვნებლივ მოხდეს პარალელური ორგანიზაციების შეერთება ადგილებზე; 3) რომ შეერთებულმა ცენტრალურმა ორგანოებმა, თუ პარტიის გაერთიანება არ მოხდა, უნდა გამოაცხადონ გამაერთიანებელი ყრილობის დაჩქარებით მოწვევა, რომლის დელეგატები არჩეულ იქნებიან პროპორციულად ბოლშევიკებისა და მენშევიკებისაგან.

კონფერენციის ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა პარტიის გაერთიანებას, მაგრამ იგი იყო სერიოზული ნაბიჯი ერთიანობის აღდგენის გზაზე და ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი პარტიის ცხოვრებაში ბოლშევიკებმა გადადგეს. მენშევიკები კი მუშების მოთხოვნის ზეგავლენით სიტყვით უჭერდნენ მხარს პარტიის გაერთიანებას, მაგრამ საქმით ამისათვის არაფერს აკეთებდნენ. მართლაც შემდეგ პარტიის IV გამაერთიანებელი ყრილობის მომზადებისა და ჩატარების მძიმე ტვირთი გადაიტანეს ბოლშევიკებმა და არა მენშევიკებმა.

რუსეთში რევოლუციის მძლავრმა აღმავლობამ, რამაც მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა ოქტომბრის საყოველთაო-პოლიტიკურ გაფიცვასა და შემდეგ შეიარაღებულ აჯანყებებში, პარტიული ორგანიზაციების მუშაობისათვის ახალი პირობები შექმნა. მოპოვებული იყო მუშებისათვის თავისუფალი შეკრების, ლეგალური პრესის გამოყენების შესაძლებლობა და ამ პირობებში ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობას, პარტიაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების გატარებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აქედან გამომდინარეობდა პარტიის რეორგანიზაციის აუცილებლობა.

ლენინმა ტამერფორსის კონფერენციის წინ, ერთი თვით ადრე გამოქვეყნებულ სტატიაში „პარტიის რეორგანიზაციის შესახებ“ დაამუშავა პარტიის რეორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო კონფერენციის რეზოლუციას ამ საკითხში. კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია მოითხოვს პარტიის რეორგანიზაციას დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე და აუცილებლად თვლის პარტიული ორგანოების ფართო არჩევითობას და ანგარიშვალდებულებას, ადგილებზე მუშაობის გაერთიანებისა და გამოცოცხლების მიზნით საოლქო კონფერენციების მოწყობას და წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციას დაუყოვნებლივ და ენერგიულად გარდაქმნან ადგილობრივი ორგანიზაციები არჩევითობის საწყისებზე.

ტამერფორსის კონფერენციის დადგენილებამ პარტიული ორგანიზაციების დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე რეორგანიზაციის შესახებ დიდი როლი შეასრულა პარტიული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, გაზარდა პარტიის როგორც წარმმართველი ძალის გავლენა რევოლუციაში.

კონფერენციაზე მეტად სერიოზული ყურადღება მიიპყრო აგრარულმა საკითხმა. ლენინის მოხსენება ამ საკითხზე დელეგატებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. პარტიის აგრარული პროგრამა, რომელიც აყენებდა მოთხოვნას „ჩამონაჭრების“ გლეხებისათვის დაბრუნების შესახებ, რევოლუციის პერიოდში საკმარისი აღარ იყო და უნდა შეცვლილიყო მემამულეთა, სამონასტრო და სახელმწიფო მიწების კონფისკაციის მოთხოვნით. ეს მოთხოვნა უფრო სრულად გამოხატავდა მშრომელი გლეხობის სასიცოცხლო ინტერესებს და მეტი ძალით აბამდა პროლეტარიატის ამ საიმედო მოკავშირეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. ამრიგად, პარტიის აგრარული პროგრამის შეცვლის საკითხი გადაჭრით იდგა მაშინ დღის წესრიგში.

აგრარული საკითხის გაცხოველებით განხილვის შედეგად კონფერენციამ ლენინის წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება, სადაც ნათქვამია, რომ პარტიის აგრარული პროგრამა სასურველია შეიცვალოს შემდეგნაირად: პუნქტი ჩამონაჭრების შესახებ გაუქმებულ იქნას და მის ნაცვლად აღიარებულ იქნას, რომ პარტია მხარს უჭერს გლეხობის რევოლუციურ ღონისძიებებს მთელი სახელმწიფო, საეკლესიო, სამონასტრო, მემამულეთა და სხვა მიწების კონფისკაციის განხორციელებისათვის.

კონფერენციის გადაწყვეტილებას პარტიის აგრარული პროგრამის შეცვლის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციის მთელი შემდგომი განვითარებისა და ცარიზმზე საბოლოო გამარჯვების მოპოვებისათვის.

ტამერფორსის კონფერენციას სასწრაფოდ მოუხდა მუშაობის დამთავრება. „რადგან იმ დროისათვის მოსკოვში უკვე დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, ლენინის რჩევით, კონფერენციამ სასწრაფოდ დაამთავრა თავისი მუშაობა, და დელეგატები წავიდ-წამოვიდნენ ადგილებზე, რათა აჯანყებაში პირადი მონაწილეობა მიეღოთ“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 106, 1948 წ.).

ტამერფორსის კონფერენციას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ის იყო პირველი ბოლშევიკური კონფერენცია, რომლის გადაწყვეტილებებით განისაზღვრა პარტიის მომავალი მუშაობა. ამ კონფერენციაზე ჩაეყარა საფუძველი პარტიის გენიალური მშენებლების ლენინისა და სტალინის პირად მეგობრობას. ეს კონფერენცია იყო მნიშვნელოვანი ეტაპი ბოლშევიკების სავსებით დამოუკიდებელ მარქსისტულ პარტიად გაფორმების გზაზე.

სტატიების კრებული „ლენინური ისკრა"

ორმოცდაათი წლის წინათ, 1900 წლის 11 (24) დეკემბერს გამოვიდა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილ გაზეთ „ისკრის" პირველი ნომერი. გაზეთმა „ისკრამ" განსაკუთრებული როლი შეასრულა რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

„ისკრის" მთავარი რედაქტორი და ხელმძღვანელი იყო ბოლშევიკური პარტიის დიდი ორგანიზატორი და ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ლენინური „ისკრა" იყო პირველი სრულიად რუსეთის არალეგალური მარქსისტული გაზეთი, მუშათა მოძრაობის ისტორიაში უმაგალითო ახალი ტიპის გაზეთი.

რევოლუციონერი მარქსისტების ამ საბრძოლო ორგანოს შექმნა, ამხანაგ ი. ბ. სტალინის განმარტებით, იმ პერიოდში პარტიის წინაშე დასახული მთავარი ამოცანის გადაწყვეტა იყო. „...მხოლოდ სრულიად რუსეთის არალეგალური გაზეთის მეშვეობით, — აღნიშნავდა ამხანაგი ი. ბ. სტალინი, — შეიძლებოდა მაშინდელ პირობებში შექმნა პარტიის შეთანხმებული ბირთვისა, რომელსაც შეეძლო ერთ მთლიანად შეეკრა უამრავი წრე და ორგანიზაცია, მოემზადებინა იდეური და ტაქტიკური ერთიანობის პირობები და, ამრიგად, საძირკველი ჩაეყარა ნამდვილი პარტიის შექმნისათვის".

ულმობლად ანადგურებდა რა რევოლუციური მარქსიზმის მტრებს, ლენინურმა „ისკრამ" მოამზადა პარტიის იდეური და ორგანიზაციული დარაზმვა. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მეოხებით უზრუნველყოფილ იქნა ისკრული მიმართულების გამარჯვება, შეიქმნა ახალი ტიპის პარტია.

„ისკრის" პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცდაათი წლისთავისათვის პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ 100 ათას ცალად გამოუშვა სტატიების კრებული „ლენინური „ისკრა".

კრებულის დასაწყისში მოთავსებულია სტატია „ვ. ი. ლენინი — „ისკრის" შემქმნელი და ხელმძღვანელი" და სტატია ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესახებ, რომლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და მასწავლებელი, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე, მეგობარი და თანამებრძოლი, მისი საქმის გენიალური განმგრძობი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.

სტატიაში აღნიშნულია, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა ამიერკავკასიის პროლეტარიატის პოლიტიკურ აღზრდასა და პოლიტიკურ დარაზმვაში არალეგალურმა ქართულმა გაზეთმა „ბრძოლამ".

„ბრძოლის" პირველი ნომერი დაიბეჭდა 1901 წლის სექტემბერში სტამბა „ნინაში". ამრიგად, განხორციელდა ამხანაგ ი. ბ. სტალინის იდეა ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის არალეგალური ორგანოს შექმნის შესახებ. „ბრძოლის" პირველი ნომრის გამოსვლა ლენინურმა „ისკრამ" აღნიშნა როგორც დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენა. „ისკრის" შემდეგ „ბრძოლა" საუკეთესო მარქსისტული გაზეთი იყო რუსეთში. „ბრძოლის" პოლიტიკურ სახესა და მიმართულებას განსაზღვრავდნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელმძღვანელო სტატიები რევოლუციური პროლეტარული პარტიის პროგრამის, ორგანიზაციისა და ტაქტიკის საკითხებზე.

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემულ კრებულში „ლენინური ისკრა" შედის აგრეთვე სტატიები: „პარტიის პროგრამის პროექტის შემუშავება „ისკრის" მიერ"; „ისკრის" ბრძოლა პარტიის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის"; „ეკონომიზმის განადგურება „ისკრის" მიერ"; „ისკრის" ბრძოლა ესერების წინააღმდეგ"; „ისკრის" როლი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში"; „ისკრა" საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში"; „ლენინური „ისკრა" — ახალი ტიპის პირველი გაზეთი".

კრებულში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის პორტრეტი (1897 წლის ფოტოსურათი) და ი. ბ. სტალინის პორტრეტი (1900 წლის ფოტოსურათი) და სამი ილუსტრაცია: გაზეთ „ისკრის" № 1-ის პირველი გვერდი — 1900 წლის დეკემბერი, „ისკრის" ორგანიზაცია (სქემა); „რაბოჩეე დელოს" № 4-5 პირველი გვერდის ანაბეჭდი „რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი" — 1899 წელი. (საქდესი).

გაზეთ „ისკრის" გამოსვლის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომა

ღირსშესანიშნავი თარიღი — სრულიად რუსეთის არალეგალური მარქსისტული გაზეთის „ისკრის" პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავი საბჭოთა მეცნიერებმა აღნიშნეს 22 დეკემბერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილების სპეციალური სხდომით.

სხდომა გახსნა განყოფილების აკადემიკოსმა-მდივანმა აკადემიკოსმა ბ. დ. გრეკოვმა. მან ხაზგასმით აღნიშნა უდიდესი მნიშვნელობა ლენინური „ისკრისა", რომელმაც მოამზადა ჩვენი პარტიის იდეური და ორგანიზაციული დარაზმვა.

მოხსენება „ლენინური „ისკრის 50 წლისთავი" გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. ნ. პოსპელოვმა. (საქდესი).

ამხ. ა. ი. ვიშინსკის დაბრუნება

24 დეკემბერს ნიუ-იორკიდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის V სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ა. ი. ვიშინსკი. (საქდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია

23 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური წარმომადგენელი ბ-ნი უ სიუ-ციუანი, მრჩეველი ბ-ნი ძიაო გუან-ხუა და მათი თანხმლები პირნი, რომლებიც პეკინს ბრუნდებიან ნიუ-იორკიდან, სადაც მონაწილეობა მიიღეს უშიშროების საბჭოს სხდომებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ ამერიკის აგრესიის საკითხზე. (საქდესი).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს კომუნიკე

პარიზი, 23 დეკემბერი. (საქდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

„მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნო თავის ამა წლის 21 დეკემბრის სხდომაზე გაეცნო იმ კამპანიის პირველ შედეგებს, რომელიც მიმდინარეობს ყველა ქვეყანაში მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სამდივნომ მიიღო საჭირო ღონისძიებანი მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა უფრო ფართო და ინტენსიური გავრცელებისათვის იმ ანგარიშით, რომ ყველა ქალსა და მამაკაცს, კეთილი ნების ყველა ადამიანს შეეძლოს მხარი დაუჭიროს ამ გადაწყვეტილებებს. სამდივნომ შეისწავლა ეროვნული კომიტეტების მიერ გამოგზავნილი მოხსენებანი. იგი იზიარებს უკმაყოფილებასა და აღშფოთებას, რასაც ყველგან იწვევს ტრუმენის ამასწინანდელ განცხადებებთან და ატლანტიკის პაქტის ქვეყნების წარმომადგენლების მიერ ბრიუსელში მიღებულ იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ დააჩქარონ და განაგრძონ დასავლეთ გერმანიის შეიარაღება ფართო მასშტაბით.

სამდივნო იწონებს უკვე გამოჩენილ ინიციატივას და წინადადებით მიმართავს სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობის მომხრეთა ყველა ორგანიზაციას გაატარონ ღონისძიებანი ომის წინააღმდეგ, ომის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მიერ შემუშავებული სამშვიდობო სტატუტის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს პლენარული სხდომა განზრახულია 1951 წლის 10 იანვრისათვის".

დივერსიული ჯგუფის ლიკვიდაცია ჩინეთში

პეკინი, 24 დეკემბერი. (საქდესი). გაზეთი „ხებეიჟიბაო" იუწყება, რომ ამას წინათ ხებეის პროვინციის უანის რაიონში აღმოჩენილ იქნა დივერსიული ჯგუფი, რომელიც მოქმედებდა საიდუმლო ამერიკელი აგენტებისა და გომინდანელი ბანდიტების ხელმძღვანელობით. დივერსანტებმა ძირგამომთხრელი საქმიანობა გააჩაღეს უანის რაიონის სოფელ შანვენცუნში, სადაც ისინი თანამოსაწილეებს აგროვებდნენ დაშინებისა და მოტყუების მეთოდებით.

სასამართლომ 8 ბრალდებულს, რომლებმაც თავი დამნაშავედ აღიარეს, დახვრეტა მიუსაჯა, ხოლო 7 კაცს — სხვადასხვა ვადის საპყრობილე (actually) სასჯელი.

ამერიკის პრესა ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებების შესახებ—გადააქციონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სახელმწიფო დეპარტამენტის დანამატად

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საქდესი). როგორც ამერიკელ მიმომხილველთა ერთი ნაწილი აღიარებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წარსულმა სესიამ იმიტომ ვერ გამოიჩინა უნარი—მიეღო კონსტრუქციული გადაწყვეტილება მის წინაშე მდგომი ძირითადი პრობლემების შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია უხეშად თავს ახვევდა თავის დიქტატს დელეგაციების უმრავლესობას.

ეს მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ეგრეთწოდებული „უმრავლესობის" ბევრი დელეგატი კერძო საუბარში აცხადებდა, რომ ისინი ხშირად არ ეთანხმებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას, მაგრამ როდესაც კენჭისყრის დრო დგებოდა, უთმობდნენ ამერიკის დაუნდობელ ჟირიშსა და მუქარას.

ამ თვალსაზრისის დამცველი ერთ-ერთი მიმომხილველია ესპანეთის რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ალვარეს დელ ვაიო, რომელსაც ახლა ჟურნალ „ნეიშენის" ევროპული განყოფილების რედაქტორის პოსტი უკავია. „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეზოლუციის განხილვის დროს, — წერს დელ ვაიო, —დელეგატები, რომლებიც კერძო საუბარში ამერიკის პოლიტიკასთან თავის უთანხმოებას გამოთქვამდნენ, ამას მხოლოდ ჩურჩულით ამბობდნენ; როდესაც კენჭისყრის დრო დგებოდა, ისინი ამერიკელებთან ერთად აძლევდნენ ხმას".

როგორც გაზეთ „დეილი კომპასის" კორესპონდენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლეონ იდელი აღნიშნავს, სხვა დელეგაციების მიმართ ზეგავლენა და დაშინება, რასაც მიმართავდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია გენერალურ ასამბლეაში, გენერალური ასამბლეის მარცხის ძირითადი მიზეზია.

იდელი წერს: „თქვენს კორესპონდენტს არ ახსოვს გენერალური ასამბლეის არც ერთი სესია, რომელიც იმდენადვე უნაყოფო და უშედეგო ყოფილიყო, როგორც ახლახან დამთავრებული სესია... ამერიკის შეერთებულ შტატებს ჯერ კიდევ არასოდეს არ მოუხდენიათ ასეთი ზეგავლენა დელეგატებზე და არ უცდიათ, რომ ამ დელეგატებს ხმა მიეცათ მათთან ერთად, და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას ჯერ კიდევ არასოდეს არ გამოუწვევია ასეთი უკმაყოფილება. დასავლეთი ქვეყნის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის დელეგატმა, რომელსაც დიდად აფასებენ ვაშინგტონში, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უწოდა „ამერიკის აგრესიულობა". აგრეთვე ცნობილია, რომ ინგლისის, კანადისა და საფრანგეთის დელეგატებმა ბევრი დრო დახარჯეს, ამაოდ მოუწოდებდნენ რა ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოეჩინათ მეტი თავშეკავება. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას განზრახული აქვს მხოლოდ მუშტი ურტყას მაგიდას და არც კი სურს წარადგინოს რაიმე საბუთი. ამის მაგალითია აჩესონის პირველი გამოსვლა გენერალური ასამბლეის სესიაზე, როდესაც მან, მას შემდეგ, რაც ინდოეთის დელეგაციამ წარადგინა რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს უზრუნველყოფილ იქნას პეკინის მთავრობის დაშვება, მოითხოვა, რომ ასამბლეამ „კენჭი უყაროს ამ წინადადებას და გააკეთოს ეს რაც შეიძლება მალე". აჩესონს არ წარუდგენია არავითარი საბუთი. მან მხოლოდ დირექტივა მისცა.

ერთ-ერთი კრიტიკული შენიშვნა, რომელიც არაერთხელ გამოთქმულა ამერიკის შეერთებული შტატების მისამართით, ის იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უფრო იმას ცდილობდნენ, რომ მოეხდინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის რეორგანიზაცია, ვიდრე განეხილათ ძირითადი პრობლემები. ორი წლის წინათ მათ შექმნეს „მცირე ასამბლეა", რომელსაც ფაქტიურად არაფერი არ გაუკეთებია. მიმდინარე წელს ისინი მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ მიეღწიათ თანხმობისათვის პროცედურების გადასინჯვის იმ პროგრამის შესაბამისად, რომელსაც ეწოდება „გაერთიანებული მოქმედება მშვიდობის სასარგებლოდ", რაც საშუალებას იძლევა გვერდი აეხვიოს უშიშროების საბჭოს, თუ იქ გამოყენებული იქნება ვეტო. გულმოდგინე მეთვალყურენი პროცედურებითა და ფორმულებით ამ მუდმივ დაინტერესებაში ხედავენ ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვას—შეინარჩუნონ თავიანთი კონტროლი ხმებისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში".

სტატიაში, რომელსაც ხელს აწერს „სპეციალური კორესპონდენტი" და რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „მანსლი რევიუს" დეკემბრის ნომერში, აწერილია ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ამერიკის შეერთებული შტატები თავს ახვევენ სხვა დელეგაციებს თავიანთ ნებას. არსებული ცნობების მიხედვით, სტატიის ავტორია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მაღალი თანამდებობის თანამშრომელი, რომელმაც ამჯობინა არ გაემხილა თავისი სახელი.

აღნიშნა რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია „სახელმწიფო დეპარტამენტის დანამატად" გადაიქცა, ავტორს მრავალი ფაქტი მოჰყავს ამ თავისი მტკიცების დასასაბუთებლად და გულდასმით უკეთებს ანალიზს იმ მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს თავიანთ კონტროლში ჰყავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო და თავს ახვევენ თავიანთ დიქტატს სხვა დელეგაციებს. „მრავალი კვირით ადრე გენერალური ასამბლეის ყოველ სესიამდე, — წერს ავტორი, — სახელმწიფო დეპარტამენტი არკვევს თავის ხაზს დღის წესრიგში დასმულ ძირითად საკითხებში. ამ ხაზს დეპეშებით ან დიპლომატიური ფოსტით ატყობინებენ ამერიკის ყველა საელჩოს საზღვარგარეთ. ყოველ დედაქალაქში ელჩი და სამხედრო, ეკონომიურ და სასოფლო-სამეურნეო საკითხთა, აგრეთვე შრომისა და განათლების საკითხთა მისი ატაშეები იწყებენ მუშაობას... ოფიციალურ შეხვედრებსა თუ დარბაზობაში ადგილობრივ საგარეო საქმეთა მინისტრებს ან მინისტრთა წარმომადგენლებს, კაბინეტის წევრებსა თუ მსხვილ მოსაქმეებს მითითება ეძლევათ მიღებული ხაზის შესახებ. ამავე დროს ამერიკის პოზიციის შესახებ ატყობინებენ სათანადო საელჩოებს ვაშინგტონში... ამის პარალელურად ამერიკის მისია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუშაობას იწყებს სხვა ქვეყნების მუდმივ დელეგაციებთან, რაც ხორციელდება ოფიციალური ვიზიტების, დარბაზობის, ხოლო ზოგჯერ ერთობლივი თათბირების საშუალებით. ამერიკის მისიის მემორანდუმებში უკეთდება მოხსენება ყოველი დელეგატის ყველა განცხადების შესახებ... ამერიკის მთავრობა ძლიერ მალე გაიგებს, თუ ვის მიმართ არის საჭირო კიდევ მუშაობა.

თუ დელეგაცია ჯიუტობას იჩენს, ყოველთვის მიმართავენ უფრო მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებს".

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ „ზეგავლენას თავს ვერ აღწევს ვერც ერთი დელეგატი, ვერც ერთი კომიტეტი", ავტორი აცხადებს: „კერძო საუბარში დელეგატები გულმწუხარედ მოგვითხრობენ, თუ როგორ მიმართავდნენ ამერიკელები მათს ელჩს ან მათს მთავრობას საჩივრით მათი პოზიციის გამო და როგორ ახერხებდნენ ამ პოზიციის შეცვლას. პრესტიჟის შენარჩუნებაზე არავინ არ ფიქრობს. დელეგატს, რომელიც აიძულეს ელალატნა თავისი პოზიციისათვის, დასჯილი მოწაფის მდგომარეობაში აყენებენ".

„პროცესი, რომლის საშუალებითაც დელეგაციებს აიძულებენ დაემორჩილონ ამერიკის შეერთებული შტატების ხაზს, — განაგრძობს ავტორი, — ცნობილია „ხელის ღრძობის" სახელწოდებით. ეს ჩვეულებრივ მაშინ ხდება, როდესაც თავს იჩენს ახალი სიტუაცია და საკმაო დრო არ არის იმისათვის, რომ ზეგავლენა მოახდინონ მთავრობებზე. ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგიერთ დელეგატებს (მათი მთავრობები. — რედ.) ნებას აძლევენ მთელ რიგ საკითხებში იმოქმედონ საკუთარი შეხედულებით. რა თქმა უნდა, მათ არ შეუძლიათ თავისუფლად იმოქმედონ „პოლიტიკურ" საკითხებში. „პოლიტიკურად" ითვლება სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული ყველა საკითხი".

შემდეგ სტატიის ავტორი ჩამოთვლის სხვადასხვა საშუალებას, რომელთა გამოყენებითაც შეერთებული შტატები ზეგავლენას ახდენენ უცხო სახელმწიფოებზე. მათ შორის არის: მუქარა, რომ კონგრესი შეწყვეტს სახსრების მიცემას მარშალის გეგმით და სხვა „დახმარების" გაწევას, ამერიკის კონტროლი საერთაშორისო ბანკისადმი, ამერიკის ეკონომიური და პოლიტიკური კონტროლი და გავლენა ლათინურ-ამერიკულ ქვეყნებში, ფილიპინებზე, ინგლისის დომინიონებში და სხვ.

დასასრულ როგორც შეერთებული შტატების მიერ გენერალური ასამბლეისათვის თავისი დიქტატის თავსმოხვევის აშკარა მაგალითი, ავტორს მოჰყავს ტრიუგვე ლის გენერალური მდივნის პოსტზე ყოფნის ვადის გაგრძელება, თუმცა „ეს უკანონო მოქმედება იყო და ეს ყველა დელეგაციამ იცოდა".

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის პროფკავშირული დელეგაციის" წერილი ი. ა. მალიკისადმი

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საქდესი). „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის პროფკავშირული დელეგაციის" თავმჯდომარემ სემუელ ფრიბმანმა სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მალიკს გაუგზავნა წერილი, სადაც მიაქცევს მის ყურადღებას იმ განცხადებას, რომელსაც ხელს აწერს საწარმოო კონგრესში, ამერიკის შრომის ფედერაციასა და ნიუ-იორკის დამოუკიდებელ პროფკავშირებში შემავალ პროფკავშირთა 700 ხელმძღვანელი, „რომლებიც დაუღალავად მუშაობენ კორეაში მშვიდობის აღდგენისათვის და იმაზე, რომ არ დაუშვან ომის გავრცელება". ფრიბმანის წერილში ნათქვამია: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის პირები, რომლებმაც ხელი მოაწერეს განცხადებას, გამოხატავენ ამერიკელ მუშათა მზარდ მისწრაფებას — მიაღწიონ კორეაში საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას ყველა დაინტერესებულ მხარეთა შორის იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც გაითვალისწინებს უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანას და სამშვიდობო კონფერენციების დაუყოვნებლივ მოწვევას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მონაწილეობით, რათა მშვიდობიანი საშუალებით მალე მიღწეულ იქნას თავისუფალი და დამოუკიდებელი კორეის შექმნა".

ჩინეთის მთავრობის პასუხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი. (საქდესი). როგორც ლეიკ-საქსესიდან იუწყებიან, იქ მიღებულია ჩინეთის მთავრობის ოფიციალური პასუხი კორეაში „ცეცხლის შეწყვეტის საკითხზე სამთა კომისიის" შექმნის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ უკანონოდ მიღებული რეზოლუციის თაობაზე.

პასუხის ტექსტი შეესაბამება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ენ-ლაის განცხადების შინაარსს.

დეკაბრისტები

(125 წელი დეკაბრისტების აჯანყებიდან)

ას ოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქ პეტერბურგის სენატის მოედანზე რომანოვთა დესპოტიის წინააღმდეგ რუსეთის მოწინავე საზოგადოებიდან გამოსულმა ძალებმა აჯანყება მოაწყეს. თუმცა დეკაბრისტთა შეიარაღებული აჯანყება ამ მოედანს არ გასცილებია, მაგრამ ეს სახელოვანი თარიღი საუკუნეთა განმავლობაში დარჩება ისტორიაში. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამ აჯანყებას ყოველთვის თანაგრძნობით მოიგონებენ, როგორც პირველ ორგანიზებულ შეიარაღებულ გამოსვლას ცარიზმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რუსეთის უკეთესი მომავლისათვის.

პირველად დეკაბრისტებმა შეძლეს ამაღლებულიყვნენ იმის გაგებამდე, რომ რუსეთში ცარიზმისა და ბატონყმური წყობილების მოსპობა შეიარაღებული რევოლუციური გზით უნდა მომხდარიყო, და თავიანთი გაბედული გამოსვლით რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში პირველი თავი დაწერეს.

ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ დეკაბრისტები იყვნენ პირველი შეიარაღებული მებრძოლნი ცარიზმის წინააღმდეგ. თუმცა მათი კლასობრივი მდგომარეობა ზღუდავდა მათს რევოლუციურ გაქანებას, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც რევოლუციური მოძრაობის ოდნავი გამოვლინებაც კი სასტიკად იდევნებოდა, დეკაბრისტთა აშკარად გამოსვლა არსებული წყობილების წინააღმდეგ დიდი გამბედაობის, სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის გამომხატველი იყო.

სტატიაში „გერცენის ხსოვნას" ვ. ი. ლენინი წერდა: „აღვნიშნავთ რა გერცენის ხსოვნას, ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდნენ. თავდაპირველად — თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან. მაგრამ მათს საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.

ეს აგიტაცია აიტაცეს, გააფართოეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა—რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და „ნაროდნაია ვოლიას" გმირებით დამთავრებული. უფრო გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს. „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები" — ასე უწოდებდა მათ გერცენი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 14-15).

დეკაბრისტების მოძრაობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის პროტესტის ერთგვარ გამოხატულებას წარმოადგენდა, თუმცა ეს მოძრაობა ხალხს კი არ ეყრდნობოდა, არამედ მხოლოდ სამხედრო ძალაზე და ფარული ორგანიზაციის წევრებზე ამყარებდა იმედს.

დეკაბრისტების პირველი ფარული ორგანიზაციები წარმოიშვა XIX საუკუნის ოციან წლებში. მალე ჩამოყალიბდა „სამხრეთის საზოგადოება" უკრაინაში და „ჩრდილოეთის საზოგადოება" — პეტერბურგში.

სამხრეთის საზოგადოებას მეთაურობდა ახალგაზრდა პოლკოვნიკი პესტელი, რომელიც რესპუბლიკური წყობილების მხურვალე მომხრე და თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. მან გამოიმუშავა რუსეთის გარდაქმნის პროგრამა, რომელსაც „რუსსკაია პრავდა" უწოდა. პესტელი მოითხოვდა საიმპერატორო გვარეულობის ყველა წევრის მოსპობას და „განუყოფელი რესპუბლიკის" დამყარებას ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლებით, თანასწორუფლებიანობას ყველა მოქალაქისათვის და საყოველთაო არჩევნებს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებში. „რუსსკაია პრავდაში" მოცემული იყო პროექტი გლეხთა განთავისუფლებისა მიწიანად, ყოველგვარი გამოსყიდვის დაუწესებლად და სხვ.

„ჩრდილოეთის საზოგადოება" ჩამოყალიბდა პეტერბურგში. იგი ზოგიერთ პრინციპულ საკითხში განსხვავდებოდა „სამხრეთის საზოგადოებისაგან". „ჩრდილოეთის საზოგადოების" მეთაური იყო გვარდიის ოფიცერი ნიკიტა მურავიოვი. მან შეიმუშავა რუსეთის მომავალი კონსტიტუციის პროექტი. წინააღმდეგ პესტელისა, მურავიოვი მოითხოვდა არა რესპუბლიკას, არამედ მონარქიას, რომელიც შეზღუდული იქნებოდა სახალხო „ვეჩეთი". ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი იყო პოეტი კონდრატ რილეევი. რილეევთან ერთად დეკაბრისტთა ორგანიზაციის ამ დემოკრატიულ ფრთაში შედიოდნენ სამი ძმა ობოლენსკები, კახოვსკი, კორნილოვიჩი, პოეტი ოდოევსკი, იაკუბოვიჩი და პოეტი კიუხელბეკერი. შემდეგში კი ამავე ჯგუფს მიემხრო და მათი მსოფლმხედველობა გაიზიარა რუსეთის დიდმა პოეტმა ალექსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვმა.

დეკაბრისტთა ფარული ორგანიზაციის არსებობა იცოდა და მის ბევრ აქტიურ წევრთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინს. ა. პუშკინს მხურვალედ უყვარდა თავისი სამშობლო და რევოლუციონერთა პირველი პლეადის — დეკაბრისტების მომღერლად ითვლებოდა.

1825 წლის 19 ნოემბერს ტაგანროგში მოულოდნელად გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე პირველი. ალექსანდრეს მემკვიდრე არ დარჩენია და არსებული კანონის თანახმად ტახტზე უნდა ასულიყო მისი ძმა კონსტანტინე, მაგრამ ამ უკანასკნელმა ძმის სიცოცხლეშივე უარი განაცხადა ტახტის მემკვიდრეობაზე. უმცროსი ძმის ნიკოლოზის გამეფების შესახებ ხალხმა არაფერი იცოდა და ამიტომ თავდაპირველად კონსტანტინეს შეფიცეს. ნიკოლოზმა სთხოვა ძმას ოფიციალურად უარი ეთქვა ტახტზე, ხოლო ვიდრე ეს შეთანხმება მოხდებოდა რუსეთი ფაქტიურად უმეფოდ იყო დარჩენილი. უმაღლეს წრეებში დაბნეულობა სუფევდა. ნიკოლოზმა გადაწყვიტა ძმის ოფიციალური გადადგომისათვის არ დაეცადა და ხელახლა მოეწყო ფიცის მიცემა თავის სასარგებლოდ 14 დეკემბერს. ფარულ საზოგადოებას უნდოდა ესარგებლა არსებული მდგომარეობით და სწორედ ამ დროისათვის მოეხდინა გადატრიალება. ეს მით უფრო სასურველი იყო, რომ დეკაბრისტებს გაგებული ჰქონდათ, რომ ფარული საზოგადოების არსებობის შესახებ მთავრობას უკვე მიღებული ჰქონდა ცნობები გამცემების შერვუდისა და ბოშნიაკისაგან. ამას დაემთხვა ისიც, რომ 13 დეკემბერს ტულჩინოში დააპატიმრეს პესტელი. ეს აიძულებდა შეთქმულებს დაეჩქარებინათ გადატრიალება. „სამხედრო რევოლუციის" გეგმის მიხედვით გამოსვლა უნდა მომხდარიყო სატახტო ქალაქში, ამავე დროს სამხრეთ რუსეთშიც, სახელდობრ მეორე არმიაში. გამოსვლის გეგმები მუშავდებოდა რილეევის ბინაზე. აქვე გადაწყდა დეკაბრისტთა შეიარაღებული აჯანყების მოწყობა პეტერბურგში 14 დეკემბერს. აჯანყების ხელმძღვანელად დაინიშნა ფარული საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი, 1812 წლის სამამულო ომის აქტიური მონაწილე, სამხედრო გამოცდილების მქონე და ჯარისკაცებისათვის ცნობილი გვარდიის პოლკოვნიკი სერგეი ტრუბეცკოი.

აჯანყების გეგმით გათვალისწინებული იყო ხელი შეეშალათ მეფისადმი ფიცის მიცემისათვის და ხელმძღვანელი წრეები იძულებული გაეხადათ საჯაროდ გამოეცხადებინათ მანიფესტი, მიმართული „რუსი ხალხისადმი". ეს მანიფესტი წარმოადგენდა 14 დეკემბრის აჯანყებულთა პოლიტიკურ პლატფორმას.

მანიფესტით გათვალისწინებული იყო აჯანყებული მატროსებისა და გვარდიელების მიერ საზამთრო სასახლის და პეტრე-პავლეს ციხის ხელში ჩაგდება, მეფის ოჯახის წევრთა დაპატიმრება, არსებული მთავრობის გადამდგარად გამოცხადება და სახელმწიფო მმართველობის გადაცემა დროებითი მთავრობისათვის.

1825 წლის 14 დეკემბერს დილით ადრე სენატის მოედანზე გამოცხადდნენ პოლკები რევოლუციური ოფიცრების მეთაურობით. მათ შორის პირველი იყო მოსკოვის პოლკი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დეკაბრისტი მწერალი ალექსანდრე ბესტუჟევი-მარლინსკი. აჯანყებულთა რიცხვი სენატის მოედანზე 3.000 კაცს აღემატებოდა, შედგებოდა მეზღვაურებისა და ჯარისკაცებისაგან, რომლებსაც 30-ზე მეტი რევოლუციონერი ოფიცერი ხელმძღვანელობდა.

აჯანყებულები ახალი პოლკების შემოერთებას ელოდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. აჯანყება კარგად არ იყო მომზადებული. მათ მოედანზე ხელმძღვანელიც არ აღმოაჩნდათ. ჯარის ნაწილები დაიბნენ.

ნიკოლოზ პირველის ბრძანებით იმპერატორის ცხენოსანი ჯარები რამდენჯერმე გადავიდნენ შეტევაზე — აჯანყებულთა წინააღმდეგ, მაგრამ იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ სასტიკი წინააღმდეგობის გამო, რასაც მათ დეკაბრისტები უწევდნენ. სენატის მოედანი სისხლით შეიღება, მოკლულთა გვამებით დაიფარა. ღამით პოლიციელებმა მდინარე ნევაზე რამდენიმე ადგილას ყინული ამოამტვრიეს და წყალში ჩაყარეს არა მარტო მკვდრები, არამედ დაჭრილებიც. იმავე ღამეს დაიწყო დაპატიმრებულ აჯანყებულებთან ანგარიშის გასწორება. მაგრამ მათი გავლენა მაინც ვრცელდებოდა. 1825 წლის 29 დეკემბერს (ძვ. სტილით) უკრაინაში დაიწყო ჩერნიგოვის პოლკის აჯანყება, რომელსაც ხალხიც მიემხრო. აჯანყებას მეთაურობდა „სამხრეთის საზოგადოების" ერთ-ერთი ხელმძღვანელი სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი. ეს აჯანყებაც სასტიკად იქნა ჩაქრობილი.

აჯანყებასთან დაკავშირებით გაასამართლეს სულ 579 კაცი. აქედან 80 პროცენტი სამხედრო პირები იყო. დეკაბრისტთა აჯანყების გამოჩენილ მეთაურებს — პესტელს, სერგეი მურავიოვ-აპოსტოლს, ბესტუჟევ-რიუმინს, კახოვსკის და რილეევს მეფემ ჩამოხრჩობა მიუსაჯა; ასზე მეტი დეკაბრისტი ციმბირში საკატორღო სამუშაოზე გაგზავნეს, ხოლო დიდი უმრავლესობა ჯარისკაცად ჩამოაქვეითეს და გაგზავნეს კავკასიაში, სადაც მაშინ ომი წარმოებდა მთიულებთან. დეკემბრის აჯანყების შემდეგ მეფის ხელისუფლების მიერ ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტებს შორის იყვნენ: ბესტუჟევი, ვედენიაპინი, ვიშნევსკი, კოჟევნიკოვი, პუშჩინი, ლაპა, ფოკი, მუსინ-პუშკინი, ლაჩინოვი, ლორერი, განგებლოვი (განგებლიძე), როზენი, ბელიაევი და სხვ.

ეს ხელს უწყობდა რუსეთისა და საქართველოს მოწინავე წრეების დაახლოებას. ბევრი ქართველი მოწინავე ინტელიგენტი დეკაბრისტთა აჯანყების დროს რუსეთში იმყოფებოდა და დეკაბრისტთა გავლენას განიცდიდა, მაგალითად, განგებლოვი, ბარათაშვილი, ჭილაშვილი, დოდაშვილი, ჩოლოყაშვილი, ორბელიანი და სხვები. თბილისში ალ. ჭავჭავაძის სახლი გახდა ცენტრი, რომელიც აკავშირებდა საქართველოში მყოფ რუსეთის მოწინავე ადამიანებს მოწინავე ქართველთა წრეებთან.

ჩვენი აზრით, დეკაბრისტების აჯანყებას გავლენა ჰქონდა საქართველოში 1832 წლის შეთქმულებაზე. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ საქართველოს შეთქმულების მონაწილეთა უმრავლესობამ კარგად იცოდა დეკაბრისტების ფარულ საზოგადოებათა ისტორია, ერკვეოდა ცნობილ დეკაბრისტთა ნაწარმოებებში.

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, დეკაბრისტებმა ვერ გაიგეს მთავარი — ხალხის სურვილი და მისი ძალა და არც შეეძლოთ ამის გაგება, ვინაიდან ხალხისაგან შორს იდგნენ, მაგრამ მათ საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია.

ლენინი ხაზს უსვამდა დეკაბრისტების მოძრაობის მნიშვნელობას და ამბობდა: „უცხოა თუ არა ჩვენთვის, შეგნებული ველიკორუსი პროლეტარებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რასაკვირველია, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო... ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულია ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, რა ძალადობას, ჩაგვრასა და დაცინვას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათებისა, თავადაზნაურებისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას იწვევდა ჩვენი წრიდან, ველიკორუსების წრიდან რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები — 70-იან წლების რევოლუციონერი — რაზნოჩინცები..." (თხზ., ტ. 21, გვ. 85).

დეკაბრისტების გამოსვლის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან დასაბამი მისცა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას. XIX საუკუნის 90-იან წლებში ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასი და ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით იგი საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა. საბჭოთა ხალხი, რომელმაც ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით ააგო კომუნისტური საზოგადოების დიადი შენობა, წმიდად ინახავს დეკაბრისტების ხსოვნას, რომლებმაც გაბედულად აღმართეს კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის დროშა.

ლ. ბარამია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

იტალიის დეპუტატთა პალატაში

რომი, 22 დეკემბერი. (საკდესი). დეპუტატთა პალატაში დაიწყო საგარეო პოლიტიკის განხილვა, რომელსაც მთავრობა ყოველმხრივ აჭიანურებდა, რადგან ეშინოდა, რომ უკანასკნელი საერთაშორისო ამბებისა და ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქტების ზეგავლენით საზოგადოებრივი აზრის ფართო ფენებში დასახული მობრუნება გავლენას მოახდენდა არა მარტო პარლამენტის ოპოზიციური ჯგუფების პოზიციაზე, არამედ პარლამენტის უმრავლესობის ბევრ წარმომადგენელზეც.

მართლაც, გუშინ მხოლოდ ერთმა დეპუტატმა — ქრისტიან დემოკრატთა პარტიის წევრმა გაბედა მხარი დაეჭირა მთავრობის პოლიტიკისათვის, მაშინ როდესაც ყველა სხვა ორატორმა ცოტად თუ ბევრად მკვეთრად გააკრიტიკა იგი.

განსახილველად იყო დასმული ჯერ კიდევ ამა წლის ზაფხულში ჯავის (სარაგატელთაგან გამოყოფილი რომიტას მომხრეთა ჯგუფის წევრი.—რედ.) მიერ შეტანილი რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევს იტალიის მთავრობას იკისროს „შუამავლის" ინიციატივა „საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების" მიზნით.

ამ რეზოლუციის განხილვასთან დაკავშირებულია განხილვა მთელი რიგი ინტერპელაციებისა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, კერძოდ ნენისა და ლონგოს მიერ ხელმოწერილი ინტერპელაციისა, რომელიც მოითხოვს მთავრობისაგან პასუხს შეკითხვაზე: „რა დიპლომატიური აქციები აქვს მას განზრახული, რომ კონკრეტული გამოხატულება მისცეს იტალიელი ხალხის მისწრაფებას მშვიდობისადმი და საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენელებისადმი".

ჯავიმ, რომელიც პირველი გამოვიდა დისკუსიაში, განაცხადა, რომ მას მცდარად მიაჩნია საგარეო-პოლიტიკური კურსი მთავრობისა, რომელსაც გეზი აქვს აღებული „აგრესიულობისაკენ" ნაცვლად იმისა, რომ ეძებოს მშვიდობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების შესაძლებელი თანაარსებობის გზაზე.

ჯავიმ ბრალად დასდო მთავრობას „სიბეცე", რომელსაც იჩენს იგი „ახალი ჩინეთის მატერიალური და სულიერი აღორძინების შინაგანი ბუნებისა" და კორეელი ხალხის დამოუკიდებლობის საკითხში.

ჯავიმ განაცხადა, რომ დღეს აზიის მიმართ შესაძლებელია მხოლოდ „ორი გზა": ან აღიარონ აზიის ხალხთა კანონიერი მოთხოვნები, ანდა შეეცადონ მუდმივი გახადონ „დასავლეთის ბატონობის" მდგომარეობა. პირველი გზა მიდის მშვიდობისაკენ, მეორე—ომისაკენ.

მდგომარეობის სერიოზულობა, განაგრძო მან, მოითხოვს იტალიის მთავრობისაგან მეტ ობიექტურობასა და სიფრთხილეს, მაგრამ მას ჯერაც არ გამოუჩენია ეს თვისებანი და ყოველგვარი საჭიროების გარეშე და უსიტყვოდ უჭერს მხარს ამერიკელ ხელმძღვანელთა თვით ყველაზე სახიფათო განცხადებებს. დროა იტალიის მთავრობამ, ნაცვლად იმისა, რომ თვალოს, თუ რამდენი ადამიანისა და ზარბაზნის მიცემა შეუძლია იტალიას ომისათვის, იფიქროს იმაზე, თუ რა შეუძლია მას გააკეთოს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის.

შემდეგ გამოსულმა ალმირანტემ (ეგრეთწოდებული „სოციალური მოძრაობა", რომლის აზრითაც მოქმედებენ ფაშისტები.—რედ.) აშკარად განაცხადა, რომ, მიუხედავად ყოველგვარი მტკიცებისა, ატლანტიკის პაქტი არის არა „თავდაცვითი კავშირი", არამედ „კლასიკური სამხედრო პაქტი", და შიში გამოთქვა, რომ მთავრობას არ აუწონ-დაუწონია ყველა საშიშროება, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი უსიტყვოდ შეუერთდა გადაწყვეტილებებს გერმანიის რემილიტარიზაციისა და „ევროპის მობილიზაციის" შესახებ. ალმირანტემ მოუწოდა მთავრობას გააძლიეროს ანტიდემოკრატიული რეპრესიების პოლიტიკა იტალიაში.

კომუნისტმა ალდო ნატოლიმ გამოამჟღავნა სიყალბე და ფარისევლობა იტალიის მმართველთა თავმომაბეზრებელი განცხადებებისა მათი „მშვიდობისადმი მისწრაფების" შესახებ. ამას მოწმობს მათი მოქმედება, რაც მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ამერიკელთა ბრძანებების შესრულებისაკენ იმ უგუნური ვარაუდით, რომ მომავალში ისინი მოახერხებენ გაგზავნონ იტალიელები აგრესიულ ომში. იმ ქვეყანაში, რომლის 17 მილიონი მოქალაქეც აშკარად და პირდაპირ მიემხრო მშვიდობას, ეს ვარაუდი განწირულია ჩაშლისათვის. იტალია კვლავ განაგრძობს ბრძოლას მშვიდობისათვის, ატომური იარაღის კანონგარეშე გამოცხადებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობის მოწესრიგებისათვის, ატლანტიკის კავშირიდან იტალიის გამოსვლისათვის, გამალებული შეიარაღების პოლიტიკის წინააღმდეგ.

სოციალისტმა მაცალიმ განაცხადა, რომ იტალიის მთავრობამ სრულიად უარი თქვა იტალიის პოლიტიკის განხორციელების ცდებზე. მისი პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ ამერიკული პოლიტიკაა, როგორც ამას ცხადყოფს ის გარემოება, რომ იტალიის მთავრობამ მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას გერმანიის რემილიტარიზაციის შესახებ, ნაბიჯს, რომელიც „სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული უგუნური პროვოკაციაა" და მეტი არაფერი.

მაცალიმ თქვა, რომ მთავრობა ვერ მოახერხებს განახორციელოს ეს თავისი პოლიტიკა იტალიელი ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ.

კუალიუნკუისტების ყოფილი პარტიის ლიდერი გულიელმო ჯანინი მტკიცედ მოითხოვდა შეიცვალოს საგარეო პოლიტიკის კურსი.

სიტყვა წარმოთქვა „დამოუკიდებელმა მემარცხენე" დეპუტატმა დონატიმ, რომელმაც მიუთითა პარლამენტს იმ საშიშროებაზე, რასაც ევროპისა და იტალიისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურისტული აგრესიული პოლიტიკა შეიცავს, და მოსთხოვა პარლამენტს მხარი დაუჭიროს ხუთი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციის მოწვევის იდეას. შემდეგ სიტყვა მიეცა ქრისტიან დემოკრატს ჯორდანის.

ჯორდანიმ განაცხადა, რომ მესამე მსოფლიო ომი იქნებოდა არა მარტო დანაშაულებრივი, არამედ უაზროც და გამოიწვევდა იტალიისა და ევროპის დანგრევასა და სრულ განადგურებას. ომი საბედისწერო აუცილებლობას როდი წარმოადგენს: ორ სამყაროს შორის მოიპოვება შეთანხმების შესაძლებლობა, და ამ ნიადაგზე იტალიას შეეძლო შეესრულებინა სასარგებლო ფუნქცია შუამავლობისა.

შეიარაღების გზას, რაც მთავრობამ აირჩია, თქვა ჯორდანიმ, საბედისწეროდ მივყავართ ომისაკენ. ჯორდანიმ მოუწოდა პარლამენტს იმოქმედოს ყველა ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობის მიზნისათვის და ბოლო მოუღოს „მხეცურ პოლემიკას", რომელშიც იმალება სამოქალაქო ომისა და „ჩვენს—ქრისტიან დემოკრატებსა და კომუნისტებს" შორის „კაციჭამიური ბრძოლის" ჩანასახი.

მან სასტიკად დაგმო „ყალბი პროპაგანდა", დამყარებული იმაზე, თითქოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა ომის მზადება. ჯორდანიმ დაგმო აგრეთვე თავაწყვეტილი „საომარი ფსიქოზი", რომელმაც მოიცვა დასავლეთი და იმუქრება გადაჩეხოს იგი ომისა და დაღუპვის უფსკრულში.

ჯორდანის სიტყვას ოპოზიციის დეპუტატები ტაშითა და მოწონებით შეხვდნენ.

საგარეო პოლიტიკის დისკუსიისადმი მიძღვნილი პირველი სხდომა დამთავრდა სარაგატელ კალოსოს სიტყვით, რომელმაც მოითხოვა, რომ იტალიის მთავრობა გამოვიდეს წინადადებით „საყოველთაო განიარაღების" შესახებ.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 23 დეკემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე ეწეოდნენ ბრძოლებს ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა ჯარების წინააღმდეგ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 24 დეკემბერს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე ეწეოდნენ ბრძოლებს ამერიკელთა და სამხრეთ კორეელთა ჯარების წინააღმდეგ.

ამერიკელმა დამპყრობლებმა ფხენიანი გაძარცვეს და დაანგრიეს

ფხენიანი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკელი ინტერვენტების მიერ ფხენიანის დროებითი ოკუპაციის პერიოდში განადგურებულ იქნა კორეის ეროვნული კულტურის ყველა უძველესი ძეგლი, ქალაქის ყველა სკოლა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. ამერიკელმა მძარცველებმა გაიტაცეს უძვირფასესი განძეულობა, რაც თავმოყრილი იყო ფხენიანის მუზეუმებში, დაანგრიეს არქიტექტურის უძველესი ძეგლები, დაწვეს ათეულ ათასობით უძველესი და თანამედროვე წიგნი, მათ შორის ძველი ლიტერატურის უძვირფასესი კრებულები, რომლებიც ინახებოდა ფხენიანის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში.

მათ ააფეთქეს კიმ ირ სენის სახელობის უნივერსიტეტის შენობა, დაწვეს ფხენიანის ინდუსტრიული ინსტიტუტი, დაანგრიეს ქალაქის ყველა სკოლა და დემოკრატიული ორგანიზაციების კუთვნილი შენობები.

ჩრდილოეთ კორეის დროებითი ოკუპაციის პერიოდში ამერიკელთა და ლისინმანელთა თარეშის შედეგები

ფხენიანი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკელმა აგრესორებმა და ლისინმანელთა ბანდამ ჩრდილოეთ კორეის დროებითი ოკუპაციის პერიოდში საშინელი დანაშაულობანი ჩაიდინეს, დაანგრიეს მთელი ქალაქები, დაიტაცეს კორეელი ხალხის სისხლითა და ოფლით მოპოვებული უდიდესი ძვირფასეულობა. მათ მასობრივად გაჟლიტეს კორეელი პატრიოტები და პროგრესული მოღვაწეები, დაანგრიეს ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, ბიბლიოთეკები, სტამბები და ტაძრები.

ოკუპაციის პერიოდში მთლიანად გააუქმეს მიწის რეფორმის, საწარმოთა ნაციონალიზაციის, შრომის და ქალთა თანასწორუფლებიანობის კანონები. სახელმწიფო საწარმოები ხელთ იგდეს ყველა ჯურის ვიგინდარებმა, რომლებიც პირადი გამდიდრების მიზნით იტაცებდნენ სახალხო დოვლათს. გლეხებს ჩამოართვეს მიწა, რაც მათ მიღებული ჰქონდათ მიწის რეფორმის შედეგად. ამის ნაცვლად შემოიღეს მემამულეთა მიწის საკუთრების უფლების კანონი. გლეხობა დაბეგრეს მიმდინარე წლის მოსავლის გადასახადით.

ოკუპანტების დახმარებით კვლავ დაბრუნებულმა მემამულეებმა გლეხებს ჩამოართვეს მიწა და პირუტყვი და ძალდატანებით დაიწყეს გლეხებისაგან საიჯარო გადასახადის აკრეფა. მუშათა უფლებების დაცვის ყველა კანონი და საწარმოთა მართვის დემოკრატიული სისტემა გააუქმეს. დასასვენებელი სახლები და სანავადმყოფოები გამოცხადებულ იქნა ოკუპანტებისა და რეაქციული ელემენტების საკუთრებად.

ამჟამად კვლავ განთავისუფლებული ჩრდილოეთ კორეის მშრომელებმა აღადგინეს ყველა თავიანთი დემოკრატიული უფლება და მთელ ძალღონეს ახმარენ ამერიკელი აგრესორებისა და მათი ლაქიების — ლისინმანელი ბანდიტების საბოლოო განადგურების საქმეს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

ფხენიანი, 24 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ამას წინათ გამოაქვეყნა დადგენილება ომით დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისა და აღდგენითი სამუშაოების შესახებ ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში.

დადგენილება ითვალისწინებს მოსახლეობისათვის დახმარების გაწევას სურსათითა და ტანსაცმლით, საბინაო მშენებლობის გაშლას, მოსახლეობის უზრუნველყოფას სათბობით და სხვ. ვაჭრობის სამინისტროს დაევალა ომით დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად დამატებით გამოჰყოს 1.500 ტონა სურსათი და 500 ათასი მეტრი მანუფაქტურა. ტანსაცმელი და სხვა სამრეწველო საქონელი უფასოდ გაიცემა, ხოლო სურსათი — შემცირებულ სახელმწიფო ფასებში. ვაჭრობის სამინისტროს დაევალა აგრეთვე უახლოეს დღეებში 50 სასადილო მოაწყოს პროვინციულ და სამაზრო ცენტრებში, გახსნას შეიდი მაღაზია და ფარდული. მრეწველობის სამინისტროს დაევალა მოაწყოს პირველი საჭიროების საქონლის დამამზადებელ საწარმოთა ფართო მშენებლობა და აღდგენა.

საბინაო მშენებლობის დასაჩქარებლად თვითეულ პროვინციულ სახალხო კომიტეტთან იქმნება საბინაო მშენებლობის სამმართველო, რომელსაც გადაეცემა დიდი სახსრები. ამ სამმართველოებმა უკვე გააჩაღეს მუშაობა უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახებისათვის დათბუნებული საერთო საცხოვრებლების ასაგებად.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა დეკემბრის განმავლობაში 50 ამბულატორია გახსნას პროვინციულ და სამაზრო ცენტრებში მოსახლეობის ნორმალური სამედიცინო მომსახურების მოსაწყობად.

ამ დადგენილების თანახმად მოსახლეობა უკვე დიდ დახმარებას იღებს სახელმწიფოსაგან. მაგალითად, ქალაქ სინიჯუში, რომელიც პირწმინდად გადაწვეს ამერიკელებმა, 6.251 კაცმა უკვე მიიღო ტანსაცმელი და სურსათი, ხოლო 2.879 კაცს, რომელთაც სიდამწვრე და ჭრილობები აქვთ, თავის დროზე გაუწიეს სამედიცინო დახმარება. 77 ღრმა მოხუცი და ბავშვი მოთავსებულია თავშესაფრებში, რომლებსაც მთლიანად სახელმწიფო უზრუნველყოფს.

ამერიკელი იმპერიალისტები ვერ მოახერხებენ მოატყუონ ჩინელი ხალხი!

პეკინი, 23 დეკემბერი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უკანონოდ მიიღო რეზოლუცია „კორეაში ცეცხლის შეწყვეტის საკითხზე სამთა კომისიის" შექმნის შესახებ, გაზეთი „ჟენმინჟიბაო" აღნიშნავს, რომ „კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის ერთადერთი გზაა" ჯოუ ენ-ლაის განცხადებაში აღნიშნული გზა, რომელიც გულისხმობს, რომ „უცხოეთის ყველა ჯარი გაყვანილ უნდა იქნას კორეიდან და რომ კორეის საშინაო საქმეები გადაჭრას თვით კორეელმა ხალხმა. ამერიკის აგრესიული ძალები გაყვანილ უნდა იქნან ტაივანიდან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა კანონიერი სტატუსი უნდა მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში".

გაზეთი წერს, რომ ჯოუ ენ-ლაის განცხადება სავსებით შეესაბამება ჩინელი ხალხის მისწრაფებებს. ჩინელ ხალხს სურს, „როგორც მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს, სურს კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა. სწორედ ამიტომ განცხადებაში გამოთქმულია პროტესტი ეგრეთწოდებული „კორეაში ცეცხლის შეწყვეტის საკითხზე სამთა კომისიის" შექმნის წინააღმდეგ, რომლის მიზანიც ის არის, რომ მხარი დაუჭიროს ამერიკის აგრესიას".

კორეაში ამერიკელთა მე-8 არმიის სარდლის სიკვდილი

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს სეულელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს ავტომობილის კატასტროფის დროს სეულის ჩრდილოეთით დაიღუპა ამერიკის მე-8 არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი უოკერი.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, მაკარტურმა განაცხადა, რომ უოკერის ნაცვლად ამერიკელთა მე-8 არმიის სარდლად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი მეტიუ რიჯუეი.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ გერმანიას შორის დაიდო შეთანხმება ქვანახშირის მიწოდების შესახებ

ბერლინი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ადნის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო და საშინაო ვაჭრობის სამინისტროსა და დასავლეთ გერმანიის საზონათშორისო ვაჭრობის ორგანიზაციას შორის დაიდო შეთანხმება ქვანახშირის მიწოდების შესახებ. შეთანხმება აწესრიგებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მურა ქვანახშირის ბრიკეტების მიწოდებას და დასავლეთ გერმანიიდან ქვანახშირისა და ფოსფატების მიწოდებას. შეთანხმება ითვალისწინებს ქვანახშირის ორმხრივ მიწოდებას 150 მილიონი საანგარიშსწორებო ერთეულის მოცულობით.

ნ ე კ რ ო ლ ო გ ი

გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძე

22 დეკემბერს გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სამთო საქმის მე-3 რანგის გენერალური დირექტორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძე.

გ. ა. წულუკიძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი აგრეთვე მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა (გეოლოგიისა და ქიმიის ინსტიტუტები, გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტი და სხვ.) ორგანიზაციის აქტიური მონაწილე. ის საქართველოში სათავეში ედგა სამეცნიერო - კვლევით მუშაობას სამთო მეცნიერების დარგში. წიაღისეულის დამუშავების მეთოდების კლასიფიკაციის დარგში მის ფართოდ ცნობილ ორიგინალურ გამოკვლევათა საფუძველზე საქართველოში შეიქმნა მეცნიერული სამთო სკოლა.

გ. ა. წულუკიძემ აღზარდა სხვადასხვა სამთო სპეციალობის მეცნიერ მუშაკთა მთელი პლეადა და სამთო ინჟინერთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც წარმატებით მუშაობენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში.

გ. ა. წულუკიძე დაიბადა 1889 წელს ქ. ქუთაისში. საშუალო განათლება მიიღო იქვე. შემდეგ დაამთავრა ლეობენის უმაღლესი სამთო სასწავლებელი და ეკატერინოსლავის (ამჟამად დნეპროპეტროვსკის) სამთო ინსტიტუტი. თავისი საინჟინრო მოღვაწეობა გ. ა. წულუკიძემ დაიწყო გროზნოს ნავთის სარეწებში. 1918 წლიდან ხელმძღვანელობდა ტყიბულის ქვანახშირის საბადოს დამუშავებას. 1922 წლიდან 1928 წლამდე სათავეში ედგა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო კომიტეტს, ხოლო შემდეგ სამთო განყოფილებას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა გ. ა. წულუკიძეს ფართო შესაძლებლობა სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის გასაშლელად. 1923 წლიდან იგი ეწევა პედაგოგიურ მუშაობას ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, შემდეგ კი სათავეში ჩაუდგა ამ ფაკულტეტის მადნეულის საბადოთა დამუშავების კათედრას და განუწყვეტლივ ხელმძღვანელობდა მის მუშაობას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

1944 წელს გ. ა. წულუკიძე არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, შემდეგ — პრეზიდიუმის წევრად და ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში იგი მრავალმხრივ ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის სამთო განყოფილების მუშაობაში.

გ. ა. წულუკიძე ფართო მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებაში, რესპუბლიკის სამთო მრეწველობის ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში.

გ. ა. წულუკიძე არის ავტორი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომებისა და სახელმძღვანელოებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომები დამუშავების სისტემათა კლასიფიკაციის დარგში და კაპიტალური სახელმძღვანელო „მადნეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავება".

მრავალი წლის განმავლობაში პროფესორ გ. ა. წულუკიძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საწარმოებთან. მან წამოაყენა და განახორციელა მთელი რიგი ტექნიკური სიახლენი და გამოგონებანი (ჭიათურის მანგანუმის საბადოს დამუშავების ორიგინალური სისტემები, სკრეპერული მტვირთავი და სხვ.), რომელთა დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოგვცა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ შექმნილი მიწისქვეშა სამაგრის ახალი სახე — საკუთარი კონსტრუქციის ხის გადასატანი ბიგები.

ინტენსიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, პროფესორი გ. ა. წულუკიძე დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. 1931 წლიდან იგი განუწყვეტლივ იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

პროფესორ გ. ა. წულუკიძის ნაყოფიერი მუშაობა ღირსეულად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის — ამ დიდი და დაუღალავი მეცნიერის, მზრუნველი პედაგოგისა და შესანიშნავი ადამიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მის ამხანაგთა და მრავალრიცხოვან მოწაფეთა გულში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილება
საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი
საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მადნეულის საბადოთა დამუშავების კათედრა.

„ოჯახი" რუსთაველის თეატრში

26, 27, 28 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრი მორიგ პრემიერად უჩვენებს ი. პოპოვის პიესას „ოჯახი". პიესა ეხება ვ. ი. ლენინის ჭაბუკობის წლებს.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მჟავია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. ალექსი—მესხიშვილი, თ. ბაქრაძე, გ. კიკნაძე, გ. სარჩიმელიძე, დ. ხუციშვილი, მსახიობები ე. ვაჩნაძე, თ. თეთრაძე, ნ. კანდელაკი, ბ. ნიკოლეიშვილი, ნ. ფალიაშვილი, მ. ჩახავა, ვ. გეგეჭკორი და სხვ.

დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დიმიტრი ალექსიძეს, მხატვრული გაფორმება ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ფ. ლაპიაშვილს.

თარგმანი შესრულებულია მ. ჯაფარიძის მიერ.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

26 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების პროპაგანდისტთა სემინარი (სწავლების მეორე წელი).

ლექტორი ამხ. **ლ. გეგეშიძე.**

ლ ე ქ ც ი ა

29 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) აწყობს დოცენტ **ლიდა ბარამიას** ლექციას თემაზე: **„დეკაბრისტები საქართველოში"** (დეკაბრისტების აჯანყების 125 წლისთავი).

ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოსურათი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

დ ღ ე ს თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

ოპერისა და ბალეტის — „ქეთო და კოტე" (მე-11 აბ. მე-5 სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის** — „ოჯახი" (პრემიერა); **მარჯანიშვილის სახელობის** — მხატვრული თვითშემოქმედების დათვალიერება; **გრიბოედოვის სახელობის** — „დაკარგული სახლი" (მე-19 აბ. მე-4 სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის** — „ნათელა" (ფილარმონიის საზამთრო თეატრის შენობაში); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ორი ბატონის მსახური" (22-ე აბ.); **სანკულტურის**— „სამი მეგობარი"; **თოჯინების ქართული** — „თოვლის პაპა" (10 საათსა და 30 წუთზე, 4 საათზე).

დ ღ ე ს კ ი ნ ო ე ბ შ ი

რუსთაველის სახელობის, **„ოქტომბერი"**, **„იხანი"** — „სიყვარულის წამალი", **„ამირანი"** —„არსენა" (დღისით), „მამაცი ადამიანები" (საღამოს); **„თბილისი"** — „პირველი ხელთათმანი"; **„სპარტაკი"** — „დუბროვსკი" (დღისით), „ჯამბაზები" (საღამოს); **„კომკავშირელი"** — „ნაცარქექია" (დღისით), „მუსორგსკი" (საღამოს); **26 კომისრის სახელობის** — „მათ აქვთ სამშობლო" (დღისით), „მუსიკალური ისტორია" (საღამოს); **„დიდუბე"** — „სიყვარულის წამალი"; **„კოლმეურნე"** — „სკანდალი კლოშმერლში".

მოქალაქე ეთერ იასონის ასულმა **ჯგერენაიამ,** მცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 14, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ოთარ არჩილის-ძე ბექანიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ქსენია, შვილი ნოდარ, ძმები გერასიმე, ამბროსი, და ირინე ოჯახებით, რძალი ანასტასია შვილებით იუწყებიან **ვიქტორ ივლიანეს-ძე ჯორბენაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-XII, 7 ს. გამოსვენება 28-XII, 4 ს. წილკანის, 3.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანული ქიმიის კათედრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ს. ს. ძიძაძეს მისი დის **მარიამ სერგოს ასულ ძიძაძე-ძამიაშვილის** გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის VI კურსის VIII ჯგუფის სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებენ ქ. გველესიანს მისი მამის **ვიქტორ მურმანის-ძე გველესიანის** გარდაცვალების გამო.

საქსოფლმომარაგების რესპუბლიკური კანტორის და ცენტრალური ბაზის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ გ. იობაშვილს მისი სიდედრის **მარიამ სერგოს ასულ ძამიაშვილის** გარდაცვალების გამო.

შუშანა, ცუცა, ბუხუტა, ლილი რუხაძეები, შალვა ცაგარელი, ლევან ჭელიძე იუწყებიან **მარიამ ივანეს ასულ ხალარაძე-როგავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-XII, 3½ ს. ფალიაშვილის, 58.

ორთაჭალჰესის მშენებლობის მუშა-მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსთა შემადგენლობა და მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ გ. კვანტრიშვილს მისი მამის **ილია გიორგის-ძე კვანტრიშვილის** გარდაცვალების გამო.

გრიგოლ რაჩკოვსკი ოჯახით იუწყება პროფესორ **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

ალექსანდრე, მარიამ, ქეთევან, დარო, მიხეილ, თედორე, ლამარა საჩინელები იუწყებიან რძლის **ზინა სერგოს ასულ საჩინელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-27-XII, 7 ს., გამოსვენება 28-XII, 5½ ს. ლელაშვილის I ჩიხი, 4 (ლენინის რაიონი).

შვილი თინა დოლაბერიძე, სიძე ლევან, შვილიშვილები მარინე, გია დალაქიშვილები იუწყებიან **მელიტონ ლუკას-ძე დოლაბერიძის** გარდაცვალებას.

შვილები პლატონ, ნადია, ლუბა, თამარ, გაბო, არჩილ ფერაძეები, სიძეები ლ. ჯანიაშვილი, ს. ბებიაშვილი, მ. არაბიძე ოჯახებით იუწყებიან **მარიამ ლუკას ასულ ბოკველაძე-ფერაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-XII საქარაში (ზესტაფონის რ.).

მეუღლე ელენე, შვილები ვანო, ირაკლი, რძლები მარო, მარგარიტა, შვილიშვილები ოთარ, ზურაბ, ვახტანგ იუწყებიან **ზურაბ ივანეს-ძე ფარეშიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-XII, 7 ს. გამოსვენება 28-XII, 4 ს. ჯანაშიას, 7.

დედა ნადია ანდრონიკაშვილისა, ჯავეზ დადიანი ოჯახით და ნატაშა ქავთარაძე იუწყებიან **ელიჩკა სოლომონის ასულ ანდრონიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-XII, 8 ს. გამოსვენება 28-XII, 4 ს. ბელინსკის, 3.

სოფიო, ოლია, მერი ქურდევანიძეები, ქრისტეფორე არეშიძე, პორფილე, ლიდა, ნათელა კიკვაძეები იუწყებიან **მარიამ სოლომონის ასულ თაბუკაშვილის** გარდაცვალებას.

ცეცილია, ალექსანდრე მეუღლით თამარით წუწუნავები იუწყებიან სიძის **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

ნიკო მუსხელიშვილი, რაფიელ აგლაძე, აკაკი შანიძე, ილია ვეკუა ოჯახებით იუწყებიან **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნადეჟდა, შვილი ლუბა, სიძე კონსტანტინე, შვილიშვილები გივი, გურამ, რძალი ეთერ შვილით ორჯონიკიძეები იუწყებიან **ივანე იოსების-ძე ციცქიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-XII ვერტყვილის ჰალაში (ორჯონიკიძის რ.).

გამწვანების ტრესტის დიღმის სანერგის დირექცია, პარტიული ორგანიზაცია, მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი იუწყებიან **ვლადიმერ დარისპანის-ძე ქელბაქიანის** გარდაცვალებას.

ვ. მირიანაშვილი, კ. კაპანაძე, ი. პატიაშვილი, ი. კახიანი, ა. ბედიაშვილი, კ. ნაჭყებია, გ. ჯანჯალაშვილი, ნ. გიორგაძე, ლ. ჩხიკვიშვილი, ლ. ბოჭორიშვილი, ი. ებანოიძე, ვ. ბერიძე თანაგრძნობას უცხადებენ მ. დოლაბერიძეს მისი მამის **მელიტონ ლუკას-ძე დოლაბერიძის** გარდაცვალების გამო.

ქ. აბაშიძე, მ. მელიქიძე, მ. სეხნიაშვილი, გ. კახიძე, ნ. რობაქიძე, დ. სულაკაძე, კ. ვეფხვაძე, შ. აბრამიშვილი, ს. კიპაროიძე, ი. სუხიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ თ. გორდაძეს მისი მამის **ივანე თადეოზის-ძე გორდაძის** გარდაცვალების გამო.

ლ. მელიქსეთ-ბეგი, ს. ჯიქია, ვ. ფუთურიძე, ვ. შილაკაძე, კ. ფალავა, ა. ლეკიაშვილი, მ. თოდუა, თ. მარგველაშვილი, ლ. თუშიშვილი, ე. გუდიაშვილი, ქ. მეგრელიშვილი, ე. ბარამიძე თანაგრძნობას უცხადებენ რუსუდან და დავით კობიძეებს პატარა **ვანოს** გარდაცვალების გამო.

ა. კაჰახიძე, ი. კვესიტაძე, მ. სამადაშვილი, ვ. ნანობაშვილი, ნ. სპესივცევა, ი. ცომაია, თ. კანდელაკი, ს. ქუშაშვილი, ს. ბერულავა, გ. ჭელიძე, ლ. მგელაძე, მ. მირიანაშვილი, თანაგრძნობას უცხადებენ მ. კახაძეს მისი დედის **ოლია გრიგოლის ასულ კახაძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონის და სამთო საქმის ინსტიტუტი იუწყება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ, დოქტორ **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანული, ორგანული, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრები იუწყებიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

ვ. კაკაბაძე, ა. ფიცხელაური, ც. ჩაგუნავა, კ. ქუთათელაძე, კ. ივანოვი, ნ. ლანდია, ა. კობახიძე, ი. ბუჩუკური, ო. ქურდევანიძე, გ. ბალანჩივაძე, ვ. კოდანაშვილი და ნ. მშვენიერაძე იუწყებიან **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

ი. ქაჩიბაია, პ. ჯორბენაძე, ა. ქუთათელაძე, ზ. დუმბაძე, ვ. გოგია, მ. სურგულაძე, შ. საყვარელიძე, ი. გიორგობიანი თანაგრძნობას უცხადებენ მ. დოლაბერიძეს მისი მამის **მელიტონის** გარდაცვალების გამო.

სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თინა დოლაბერიძეს, მისი მამის **მელიტონ დოლაბერიძის** გარდაცვალების გამო.

დ. დგებუაძე, კ. ესაიაშვილი, ო. თურქია, ჯ. ლორთქიფანიძე, ო. ღამბაშიძე, შ. ხმელიძე, გ. ხუნწარია, ო. ჯულელი თანაგრძნობას უცხადებენ ე. თაბუკაშვილს მისი დედის **მარიამ სოლომონის ასულ თაბუკაშვილის** გარდაცვალების გამო.

თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ე. ტუსკიას მისი დედის **მართა გიტოს ასულ ტუსკიას** გარდაცვალების გამო.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სამმართველო იუწყება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

გ. კოსტავა, ვ. ჭირაქაძე, ა. დოლიძე, გ. რაფაელოვი, ვ. თავდიდიშვილი, ო. ჩიჩუა, მ. აზრუმელაშვილი, ო. წერეთაშვილი, ქ. ენუქიძე, ბ. ჩიჩუა იუწყებიან აკადემიკოს **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

ი. მელიქიძე, გ. ციციშვილი, ა. გაძიაცკი, ი. ზურაბიშვილი, ვ. კალანდაძე, ო. კარბელაშვილი, თ გოგიტიძე, დ. ვაზინი, ნ. აბესაძე, ა. ნადარეიშვილი, ვ. ზამთარაძე, ა. მიქელაძე იუწყებიან მასწავლებლისა და ხელმძღვანელის, პროფესორ **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

რ. ჯიქია, ე. ცისკარიშვილი, დ. შარვაშიძე, ი. ჯანჯღავა, რ. ახვლედიანი იუწყებიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, მეცნიერების და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

ი. და ლ. ასათიანები, ნ. მაყაშვილი, ა. და ო. ჯაფარიძეები, ს. ბოლქვაძე, ლ. გაბუნია, ნ. ქანთარია, ტ. ჩუბინიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ანტონს მისი მამის **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალების გამო.

დ. ბექაშვილი და ვ. მიროშკინი იუწყებიან აღმზრდელისა და მასწავლებლის პროფესორ **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

მ. ღვინჯილია, დ. რამიშვილი, შ. მასხარაშვილი, თ. რუსაძე, გ. ახვლედიანი, ნ. წიქარიძე, მ. ნამჩენკო, გ. ასათიანი, იმნაიშვილი, ლ. ჩერნოვა, ვ. ლეშკაშელი, დ. მაჭარაძე თანაგრძნობას უცხადებენ მ. დოლაბერიძეს მისი მამის **მელიტონ ლუკას-ძე დოლაბერიძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 18753